განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*ა.(ა).ი.პ.- „მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“*

*ბანძის საბავშვო ბაღი*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: *ნინო ბენდელიანი*

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: *ლელა ბექაური*

კვების დარგში ექსპერტი: *მირანდა გორგილაძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *მარინე ზარანდია*

ႺᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა.(ა).ი.პ. -„მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“ |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 235447628 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | ბანძის საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | საქართველო, მარტვილის მუნიციპალიტეტი, ქალაქი მარტვილი, ი.ჭავჭავაძის ქ. N-11 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბანძა |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | **20.08.2025 წლის ბრძანება MES 6 25 0001006142** |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 25-26 სექტემბერი |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
|---|---|
| **წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა** |
| | |

| **6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ** |
|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | 1. ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში”<br>2. სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში” | ქართული | | 115<br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

მიმდინარე წლის 25-26 სექტემბერს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძის საბავშვო ბაღში განხორციელდა ვიზიტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დაწესებულების პერსონალი გამოხატავდა მიმღებლობას და პოზიტიურ განწყობას ექსპერტთა ვიზიტის დროს, ექსპერტებიც ასევე პოზიტიურად იყვნენ განწყობილი პერსონალის მიმართ. დაწესებულებაში პროცესი წარიმართა წინასწარ გაწერილი და შეთანხმებული დღის წესრიგის გათვალისწინებით. ორივე მხარემ ზუსტად იცოდა, თუ რა დროს რა ტიპის აქტივობა უნდა განხორციელებულიყო. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა წინასწარ მოთხოვნილი დოკუმენტაცია. დაწესებულებას შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული ქონდა მეთოდოლოგიური დოკუმენტები და ასევე მარეგულირებელი წესები, თუმცა დაწესებულებამ წარმოაგდინა მეთოდოლოგიის და მათ მიერ

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

განსაზღვრული წესების შესაბამისი მტკიცებულებები. დაწესებულებას ასევე გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელიც მიმართულია კონკრეტული საკითხის გამოსწორებისკენ.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

*დაწესესებულებას მიღებული აქვს გდაწყვეტილება ცენტრში შემავალი სტრუქტურული ერთეულებში დაინერგოს ხარისხის სტანდარტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცესი, რაც გულისხმობს კვების პროცესში აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის საგანმანათლებლო აქტივობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. მიღებული გადაწყვეტილება ეფუძვნება „კვება“-ს მუხლში გაჩენილ ეკონომიას, რაც გამოწვეულია ვირუსების ფონზე ბავშვთა მცირე გამოცხადებით. დაწესებულებაში კვების მენიუში რაციონი და კალორაჟობა დარჩენილია უცვლელი, კერძოდ, თითოეული საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ჯგუფისთვის ათდღიანი მენუთი განსაზღვრულ კვებას დაემატება ერთი ბავშვის კალორაჯით, რაციონით მიღებული კერძი.*

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>*(სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა)*<br>*1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში* | | |
| 2. კურიკულუმი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. **დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია ხედვა ღირებულებების დოკუკუმენტი, რომელიც ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს.
დაწესებულების მისია ჟღერს შემდეგნაირად:

> „ბავშვის ინდივიდუალური უნარების, შემოქმედებითი პოტენციალისა და ინკლუზიის გათვალისწინებით სკოლამდელი განათლების ეტაპზე საფუძველი ჩუყაროს თვისუფალი, დამოუკიდებეი აზროვნების მზონე და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი ემოციურად და ფიზიკურად ჯანსაღი პიროვნების/მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც მომავალში მარტივად შეძლებს სოციალიზაციას“.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ ჩამოყალიბებული მისიიდან გამომდინარეობს ხედვა, რომელიც მოიცავს გრძელვადიან მიზნებსა და გამოხატავს სასურველ მიზანს.
დაწესებულების ხედვაა:

> “თანამედროვე ტექნოლოგიების, ფორმებისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით უახლოეს ხუთ წელიწადში სამეგრელო-ზედა სვანეთის რეგიონში შევქმნათ გუნდის ბავშვი, საგანმანათლებლო პერსონალი, მშობელი-ღია ურთიერთობის საუკეთესო სისტემა”.

მისიიდან გამომდინარე ორგანიზაციულ კულტურას გამოხატავს ღირებულებები, რომლის გათვალისწინებითაც მოქმედებს დაწესებულება.
დაწესებულების ღირებულებებია:

1. შიდა ორგანიზაციული პრინციპების, მორალური და ადმინისტრაციული წესების დაცვა;
2. მუდმივი ზრუნვა პიროვნულ და პროფესიულ განვითრებაზე;
3. გუნდურობა;
4. კონფლიქტების ეფექტური მართვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 14.04.2025 წლის N74 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი" სადაც განსაზღვრულია მე-7 მუხლის შესაბამისად პროცესისი წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი, ასევე სხდომის ოქმი N1 -ით განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის წევრები და ესენი არიან: ა)ცენტრის წარმომადგენლები; ბ) დაწესებულების წარმომადგენლები; საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ასევე საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის სხდომებში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობის მიღების მიზნით, შესაძლებელია, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა. დაწესებულებას ასევე 14.04.2025 წლის ბრძანება N77 -ით გუნდური მუშაობისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით შექმნილი აქვს ა(ა)იპ "მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ში შემავალი საბავშვო ბაღების ერთიანი მიზნების, ხარისხიანი განათლების მიწოდებისა და ღირებულებების შესაქმნელად მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებელი და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფი 8 წევრის ოდენობით:

1. ჯგუფის ხელმძღვანელი, თვჯდომარე ცენტრის დირექტორის მოადგილე
2. თავჯდომარის მოადგილე ხუნწის საბავშვო ბაღის მენეჯერი
3. მდივანი ხუნწის საბავშვო ბაღის აღმზრდელი
4. ჯგუფის წევრი დიდი ჭყონის ბაღის მენეჯერი
5. ჯგუფის წევრი ნოღის საბავშვო ბაღის მენეჯერი
6. ჯგუფის წევრი N1 საბავშვო ბაღის მენეჯერი
7. ჯგუფის წევრი ბანძის საბავშვო ბაღის მენეჯერი
8. ჯგუფის წევრი საკონსულტაციო საბჭოს თვჯდომარე

დაწესებულების მისია ხედვა ღირებულებების დოკუმენტი შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 14.04.2025 წლის N74 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად და დასტურდება დაწესებულების სხდომის ოქმი N2-ით.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 12 ივნისის სხდომის ოქმი N2 სადაც წამოდგენილია სხდომაში მონაწილე 7 პირი, ეს პირები არიან:

1. სხდომის თვჯდომარე - ცენტრის დირექტორი

2. სხდომის მოადგილე - ცენტრის დირექტორის მოადგილე,
3. სხდომის მდივანი - საქმისწარმოების სპეციალისტი
4. სხდომის წევრი ხარისხის მართვის მენეჯერი
5. სხდომის წევრი - საგანმანათლებლო რესურსების განვითრების კოორდინატორი
6. სხდომის წევრი - ბავშვთ ჩარიცხვა ამორიცხვის კოორდინატორი
7. სხდომის წევრი - მშობელი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

დაწესებულებამ შემდგომი სხდომების დროს იმოქმედოს მის მიერ შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 14.04.2025 წლის N74 ბრძანებით დამტკიცებული "სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი"-ის მიხედვით , სადაც მე -7 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია პროცესისი წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფომირება და მუშაობის წესი, სადაც მე-5 მუხლის შეაბამისად სამუშაო ჯგუფის სხდომებს თავჯდომარეობს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, მისი არ ყოფნის შემთხვევაში თავჯდომარის მოდგილე, ხოლო თვჯდომარის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში-სამუშაო ჯგუფის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით განსაზღვრული ჯგუფის წევრი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 14.04.2025 წლის N74 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი სადაც განსაზღვრულია მე-8 მუხლის შესაბამისად მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი, დოკუმენტი გაზიარებულია აღნიშნული წესის შესაბამისად, საკომუნიკაციო არხებით კერძოდ; ბეჭდვით მასალებში (მარტვილის გაზეთში), ასევე დაწესებულების ფეისბუქ გვერზე, საჯარო ღონისძიებებით რომელიც დასტურდება წარმოდგენილი ფოტოსურათებით და პროცესში მონაწილე დაინტერესებული პირთა სიით, რომელიც დადასტურებულია ხელმოწერებით. ასევე მისია ხედვა ღირებულებების დოკუმენტი გამოკრულია დაწესებულებაში, საინფორმაციო დაფაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის 14.04.2025 წლის ბრძანება N74 -ით დამტკიცებული “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”
2. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის 14.04.2025 წლის ბრძანება N77 -ით დამტკიცებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემმუშავებელი და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი ჯგუფის შექმნის შესახებ
3. სხდომის ოქმიN1
4. სხდომის ოქმი N2
5. მისია ხედვა ღირებულებების დოკუმენტი

6. გაზეთი “მარტვილი”
7. დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების პროცესში მონაწილე დაინტერესებულ პირთა სია9. საჯარო ღონისძიებების (შეხვედრების) ფოტოები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.1. დაწესებულების მისია | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება
## 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 14.04.2025 წლის N 74 ბრძანებით დამტკიცებული აქვს “სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი” - რომელიც მოიცავს მე-9 მუხლის შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების/გაზიარების/ დამტკიცების პროცესს და მე-10 მუხლის შესააბამისად სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, ასევე ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას მე-7 მუხლის შესაბამისად პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირებას და მუშაობის წესს, რომელიც დასტურდება სხდომის ოქმი N1 -ით, სადაც განსაზღვრულია პროცესისი წარმმართველი სამუშაო ჯგუფის წევრები და ესენი არიან: ა)ცენტრის წარმომადგენლები; ბ) დაწესებულების წარმომადგენლები; საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ასევე საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის სხდომებში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობის მიღების მიზნით, შესაძლებელია, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა. დაწესებულებას ასევე 14.04.2025 წლის ბრძანება N77 -ით გუნდური მუშაობისა და პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით შექმნილი აქვს ა(ა)იპ “მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი”-ში შემავალი საბავშვო ბაღების ერთიანი მიზნების, ხარისხიანი განათლების მიწოდებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფი 8 წევრის ოდენობით:

1. ჯგუფის ხელმძღვანელი, თვჯდომარე ცენტრის დირექტორის მოადგილე
2. თავჯდომარის მოადგილე ხუნწის საბავშვო ბაღის მენეჯერი
3. მდივანი ხუნწის საბავშვო ბაღის აღმზრდელი
4. ჯგუფის წევრი დიდი ჭყონის ბაღის მენეჯერი
5. ჯგუფის წევრი ნოღის საბავშვო ბაღის მენეჯერი
6. ჯგუფის წევრი N1 საბავშვო ბაღის მენეჯერი
7. ჯგუფის წევრი ბანძის საბავშვო ბაღის მენეჯერი
8. ჯგუფის წევრი საკონსულტაციო საბჭოს თვჯდომარე

დაწესებულების მიერ შემუშავებული წესი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და დასტურდება დაწესებულების სხდომის ოქმი N2-ით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 16.06.2025 წლის N 101 ბრძანებით დამტკიცებული აქვს 2025-2029 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან ხედვასთნ და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად 4 მიზანს და ესენია:

1. განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
2. პერსონალის პროფესიული განვითარება;
3. ურთიერთობისა და თანამშრომლობის სისტემის განვითრება;
4. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო რესურსებით გარემოს გაძლიერება.

თითოეული მიზანი შეიცავს შესაბამის ამოცანებს, აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს პასუხისმგებელ პირებს და საჭირო რესურსებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძვნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დეირექტორის 14.04.2025 წლის N 74 ბრძანებით დამტკიცებული "სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი"-ს მე-13 მუხლის შესაბამისად, კერძოდ

მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით, სადაც სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში 2.5 წლის გასვლის შემდეგ და ბოლოს.
ასევე მე-13 მუხლის მე-4 პუნქტით, სადაც ცენტრი ანხორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული ოთხი მიზანი, ამ ოთხი მიზნის მიხედვით დაგეგმილია ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია და ეს მიზნებია:

1. განათლების ხარისხის გაუმჯობესება, რომლის ამოცანებია ინდივიდუალური პროგრამების შექმნა , ინკლუზიური მიდგომების გაძლიერება და ხარისხის შიდა მართვა, ამოცანების შესაბამისი აქტივობებია: საგანმანათლებლო პერსონალის ტრენინგი ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებზე, საჭიროებების ინვენტარიზაცია და ხელშეწყობა სპე. საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, თვითშეფასების

პროცესის დაგეგმვა და ჯგუფის ფორმირება, წარმოდგენილი აქტივობების შესრულების ინდიკატორებია ჩატარებული ტრენინგები მხარდაჭერილი ბავშვების რაოდენობა ჯგუფის ჩმოყალიბება და ანგარიშის წარმოდგენა პასუხისმგებელი პირებით რეალისტურ ვადებში.

2. პერსონალის პროფესიული განვითარების ამოცანებია საჭირებების შეფასება, ტრენინგი თანამედროვე მეთოდებზე და შიდა წახალისება, წარმოდგენილი ამოცანების აქტივობებია საგანმანათლებლო პერსონალის გამოკითხვა/შეფასება, გარე ტრენინგის ორგანიზება/ონლაინ სწავლების შეთვაზება, წახალისების შიდა მექანიზმის შექმნა (მაგ. წლის საუკეთესო აღმზრდელი") წარმოდგენილი აქტივობების შესრულების ინდიკატორებია შევსებული ფორმები, ანალიზი, მონაწილეთა რაოდენობა, შერჩეული თნამშრომლები, საჯარო აღიარება, შესაბამისი პროცესები უზრუნველყოფილია პასუხისმგებელი პირებით, რეალისტურ ვადებში.
3. ურთიერთობისა და თანამშრომლობის სისტემის განვითრების შესაბამისი ამოცანებია მშობლებთან სტანდარტული კომუნიუკაცია, ღია კარის დღე, მემორანდული სკოლებთან/ორგანიზაციებთან, წარმოდგენილი ამოცანების აქტივობებია მშობლებთნ შეხვედრების გრაფიკის შემუშავება, ერთდღიანი ღონისძიების ორგანიზება, ერთ საჯარო სკოლასთან/მუზეუმთან/სამუსიკო სკოლასთან თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმება, წარმოდგენილი აქტივობების ინდიკატორებია გრაფიკის არსებობა შეხვედრების რაოდენობა, მონაწილე მშობლების რაოდენობა, უკუკავშირი და გაფორმებული მემორანდუმები, შესაბამისი პროცესები უზრუნველყოფილია პასუხისმგებელი პირებით, რეალისტურ ვადებში.
4. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო რესურსებით გარემოს გაძლიერების ამოცანებია: ინფრასტრუქტურის შეფასება, საგანმანათლებლო რესურსის განახლება, სანიტარული სტანდარტები, შესაბამისი ამოცანების აქტივობებია დაწესებულებების მდგომარეობის შესწავლა და აღწერა, სათამაშოებისა და მასალების შერჩევა და შეძენა, ჰიგიენური საშუალებების მომარაგება და სტანდარტის შემოწმება, წარმოდგენილი აქტივობების ინდიკატორებია შეფასების ანგარიში, განახლებული მასალების რაოდენობა და შემოწმების შედეგები, მასალების რაოდენობა, შესაბამისი პროცესები უზრუნველყოფილია პასუხისმგებელი პირებით რეალისტურ ვადებში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებისშესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 14.04.2025 წლის N 74 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი", რომლის მიხედვითაც მე-13 მეხლის შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას კერძოდ:

1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმებას, გამოწვევბის გამოვლენასა და რეკომენდაციების განსაზღვრას.
2. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში 2.5 წლის გასვლის შემდეგ და ბოლოს.
3. სტრატეგიული გეგმის შუალედური 2,5 წლის გასვლის შემდეგ შეფასების პროცესში ვლინდება ზუსტი საჭიროებები და ცენტრს საშუალება ეძლევა , საწიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს მიზნები ად ამოცანები, ხოლო საბოლოო შეფასების ძირითადი მიზანია შემდგომის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისთვის ინფორმაციის უზრუნველყოფა. საბოლოო შეფასება ტარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა, რაც ცენტრს აძლევს საშუალებას შესაძლებელი გახდეს შედეგების გამოყენება შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.
4. ცენტრი ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად.
5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე.
6. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ხოლო შეფასება ნუიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.
7. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესში შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა: ასევე, შეფასების შედეგები ცენტრს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს ცენტრი/დაწესებულება იყენებს შემდგომი განვითრებისათვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას სტრატეგიული განვითრების და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითრებისთვის. დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 14.04.2025 წლის N 74 ბრძანებით დამტკიცებული "სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი"-ს მე-13 მუხლის (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი დაშეფასება) მე-7 პუნქტის შესაბამისად, კერძოდ "სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები ცენტრს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს ცენტრი/დაწესებულება იყენებს შემდგომი განვითარებისთვის', ხოლო გაზიარებისთვის დაწესებულებას მეთოდოლოგიაში გაწერილი აქვს მე-6 მუხლის შესაბამისად მითითებული საკომუნიკაციო არხები და ესენია
ა) ელექტრონული ფოსტა
ბ) სოციალური მედია
გ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები, პრეზენტაციები და აშ.)
დ) ბეჭდვითი მასალები (ფლაერები, ბანერები, გაზეთი, ბროშურები)

ე) ელექტრონული პლათფორმები (zoom.Teams, და სხვა)

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის 14.04.2025 წლის ბრძანება N74 -ით დამტკიცებული “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”
2. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის 14.04.2025 წლის ბრძანება N77-ით დამტკიცებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემმუშავებელი და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი ჯგუფის შექმნის შესახებ
3. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის 14.04.2025 წლის ბრძანება N101-ით დამტკიცებული 2025-2029 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ერთწლიანი სამოწმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
4. სხდომის ოქმიN1
5. სხდომის ოქმი N2
6. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორის 16.05.2025 წლის 101 ბრძანებით დამტკიცებული 2025-2029 წლების სტრატეგიული გეგმა
7. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორის 16.05.2025 წლის 101 ბრძანებით დამტკიცებული 2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე
სკოლამდელი აღზრდიდსა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“.
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმების დეკლარირების ამსახველი დოკუმენტები:

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

**1**. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №78 14.04.2025)** -„კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“;

დაწესებულებამ შემუშავებული წესის მუხლი 2- ის მიხედვით, **კურიკულუმის შერჩევა,** წარმოადგინა შემდეგი:

**2**..ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება № 79 14.04.2025)** - „კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევისა და კურიკულუმის შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შესახებ“**;**

**3**..ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით შექმნილი **(ბრძანება № 79 14.04.2025)** - „კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევისა და კურიკულუმის შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი“-ს **სხდომის ოქმი №1 (14.04.2025) სხდომის თემა:** კურიკულუმების შერჩევა და გაზიარება 2-5 წლამდე ასაკობრივი და სასკოლო მზაობის ჯგუფებისთვის;

**4.სხდომის ოქმი №2 (09.07.2025) სხდომის თემა:** შერჩეული კურიკულუმების - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II) და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ (აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი), ცენტრის დირექტორთან დასამტკიცებლად წარდგენა.

**5**. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება №103 17.06.2025)** -„შერჩეული შექმნილი კურიკულუმების დამტკიცების შესახებ“;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას, კერძოდ, **სხდომის ოქმი №2 (09.07.2025) და (ბრძანება №103 17.06.2025)** დგინდება, რომ კურიკულუმების დამტკიცების პროცესი, წინ უძღვოდა კურიკულუმების შერჩევაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, რაც მიანიშნებდა პროცესების თანმიმდევრულობის დარღვევას, თუმცა, **დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღის** საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ **სხდომის ოქმი №2 (09.07.2025) -ში,** შეხვედრის ჩატარების თარიღის ნაწილში მექანიკური შეცდომაა დაშვებული და აღნიშნული შეხვედრა ნაცვლად 9 ივლისისა,(2025წ) ჩატარდა 9 ივნისს (2025წ). ამრიგად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს **დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** პროცესების სრული თანმიმდევრულობით არის შერჩეული.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

**სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს ოქმი №2-ში დაშვებული მექანიკური შეცდომა თარიღის ნაწილში და შეიტანოს შესაბამისი ცვლილება.**

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც ვლინდება კურიკულუმების მეთოდოლოგიაში.
მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებს როგორიცაა ოჯახისა და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია, მართვა და შეფასება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში: კურიკულუმები წარმოადგენს როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ მითითებებს, ცოდნას, გამოცდილებას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განმავითარებელი და სასწავლო გარემოს ორგანიზება და უზრუნველყოფა.
კურიკულუმებიი მოიცავს დაგეგმილ და დაუგეგმავ გამოცდილებებს, თამაშებს, რუტინას, ურთიერთობებს.
კურიკულუმები ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განათლების პროცესში, რაც ვლინდება შემდეგში: ბავშვი ცნობისმოყვარე, მედეგი და ლაღია. ის ინტერესით იკვლევს, თავისუფლად სვამს კითხვებს, ეძებს ამ კითხვებზე პასუხებს, უმკლავდება გამოწვევებს, თავდაჯერებულია, არ ნებდება წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში, თავისუფალი და ბედნიერია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას ბაღის ცხოვრებაში, რაც ვლინდება მშობლებთან რეგულარულ შეხვედრებში, მათი ცნობიერების ამაღლებაში ადრეული განათლების მნიშვნელობასა და სწავლაზე, მათ ჩართულობაში ბაღის ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ და განსახორციელებელ აქტივობებში თანამონაწილეობაში.
კურიკულუმები აგრეთვე ითვალისწინებს თემის რესურსების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში და მათი გამოცდილების გაზიარებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება კურიკულუმის შინაარსში.
ბავშვებს ყოველდღიურად აქვთ მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის შესაძლებლობა.
აქტივობები უზრუნველყოფს ბავშვების მრავალმხრივ, ჰოლისტურ განვითარებას.
აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ბავშვების ასაკი, განვითარების დონე, საჭიროებები, ინტერესები, პიროვნული თავისებურებები, სოციალური და კულტურული თავისებურებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:
1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, რაც დასტურდება შემდეგი მტკიცებულებებით:

1. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №78 14.04.2025)** -„კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“.

დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს მშობლებს, ცენტრის/დაწესებულების პერსონალს და თემს.

2.კურიკულუმის შერჩევა/შექმნა/გაზიარების შესახებ **ოქმი №1 (14.04.2025)**
ოქმის ჩანაწერში იკითხება კურიკულუმების გაზიარების ფორმატი, კერძოდ, სხდომაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ შერჩეული კურიკულუმები დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარდეს, როგორც ონლაინ სივრცის გამოყენებით, ისე, პირისპირი შეხვედრის გზით - კურიკულუმები გადაეგზავნოს ყველა საბავშვო ბაღს ელ-ფოსტით და დაიდოს მარტვილის სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის ფეისბუქ გვერდზე, აგრეთვე, ჩატარდეს პრეზენტაცია აღმზრდელებისთვის და სემინარი მშობლებისთვის.
დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების ფორმატი თანხვედრაშია საკომუნიკაციო გეგმაში განსაზღვრულ გაზიარების გზებთან.
.ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №108 18..06.2025)** -„საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“.

3.კურიკულუმების გაზიარების ამსახველი ფოტო-მასალა

დაწესებულების მენეჯერი და საგანმანათლებლო პერსონალი, ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ საბავშვო ბაღის პერსონალთან და მშობლებთან ჩატარებულ სემინარზე, ხაზგასმულ იქნა კურიკულუმების ინტეგრირებული მიდგომები და მათი შესაბამისობა ადგილობრივ საჭიროებებთან. მშობლებს განემარტათ, რომ შერჩეული კურიკულუმები ითვალისწინებს ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს და ემოციური უსაფრთხოების პრინციპებს.
შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საბავშვო ბაღის ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის მნიშვნელობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოქმში მოხსენიებული კურიკულუმები (2-დან 5 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისა და სასკოლო მზაობის კურიკულუმები), არ არის წარმოდგენილი სრული სახელწოდებებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

...................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

რჩევა

**მნიშვნელოვანია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ოქმი №1, სრული სახელწოდებებით იყოს წარმოდგენილი კურიკულუმები.**

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №78 14.04.2025)** -„კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“;

2. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება № 79 14.04.2025)** - „კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევისა და კურიკულუმის შექმნაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შესახებ“;

3. **სხდომის ოქმი №1 (14.04.2025) სხდომის თემა:** კურიკულუმების შერჩევა და გაზიარება 2-5 წლამდე ასაკობრივი და სასკოლო მზაობის ჯგუფებისთვის;

4. **სხდომის ოქმი №2 (09.07.2025) სხდომის თემა:** შერჩეული კურიკულუმების - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II) და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ (აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი), ცენტრის დირექტორთან დასამტკიცებლად წარდგენა.

5. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება №103 17.06.2025)** -„შერჩეული შექმნილი კურიკულუმების დამტკიცების შესახებ“;

6. კურიკულუმების გაზიარების ამსახველი ფოტო-მასალა;

7. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №108 18..06.2025)** -„საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით:

1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ (ნაწილი I და ნაწილი II);
2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი;

დაწესებულებამ წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №104 17.06.2025**) - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.
დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს: მოკლევადიანი გეგმა (ყოველკვირეული), გრძელვადიანი გეგმა (წლიური) და ინდივიდუალური გეგმა.
აღნიშნული გეგმის ფორმები დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის ბრძანებით. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება (**ბრძანება № 105 18.06.2025**) -„გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ“,
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გეგმების ფორმები შეესაბამება დეკლარირებულ კურიკულუმებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №104 17.06.2025**) - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.
დოკუმენტის თანახმად, გრძელვადიანი გეგმა იქმნება ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი და დაწესებულების მენეჯერი.
მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი.

დაწესებულებამ წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება (**ბრძანება №106 18.06.2025**) -„ბავშვის დაკვირვების/შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ“.
დოკუმენტის თანახმად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუს დროს კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების თანამონაწილეობით შემუშავებაზე საუბრობს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №104 17.06.2025)** - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.
წარმოდგენილი დოკუმენტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შემდეგი დოკუმენტაციის წარმოებას:

1.ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიო;
2.აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიო;
3.აღმზრდელის პორტფოლიო;
4.სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო.

აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:
1.დღის განრიგი;
2.გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;
3.რეფლექსური ჩანაწერები;
4.პროექტები;
5.თვითრეფლექსია.

ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:
1.ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;
2.ბავშვის შეფასების ჩანაწერები;
3.ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს, ბავშვის მონაწილეობის შესახებ აუდიო/ვიდეო ჩანაწერები.

აღნიშნული საკითხი დასტურდება საბავშო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს.
აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ საგანმანათლებლო პროცესში მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაში ასახული იქნება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №104 17.06.2025)** - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი".
წარმოდგენილი დოკუმენტი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტაციაში ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას.

საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს დროს აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ გაითვალისწინებენ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებს, პრიორიტეტებს ასახავენ როგორც გეგმებში, ისე, საგანმანათლებლო პერსონალის ჩანაწერებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღში** საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შერჩეული დეკლარირებული კურიკულუმებით, რომელიც სრულად ეფუძნება თამაშს.
დღის განრიგით, რომელიც იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ბავშვების საბავშვო ბაღში გატარებული დროის დიდი ნაწილი თამაშისთვისაა განკუთვნილი.
ასევე, ფიზიკური გარემოს მოწყობით, როგორც შენობის ჯგუფებში, ისე ეზოში.
დაწესებულებაში საკმარისი სივრცეა გამოყოფილი იმისათვის, რომ ბავშვები სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩაერთონ.

აღმზრდელები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენის დროს აქცენტს აქტივობების თამაშით განხორციელებაზე გააკეთებენ.

თამაში/თამაშის ელემენტები ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუთი.
აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ როგორც მცირე, ისე დიდი ტრანზიციების დროს თამაშის ელემენტებს გამოიყენებენ. (სახალისო სიმღერები, გათვლები, გამოცანები, და ა.შ).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
რჩევა
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................

## 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღში** დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, როგორც შენობაში, ისე მის გარეთ, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შიდა და გარე სივრცეების მოწყობაში.
როგორც ჯგუფურ ოთახებში, ისე ეზოში, ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ დრამატულ და წარმოსახვით თამაშში, მოძრავ თამაშში, კონსტრუქციულ თმაშში, სამაგიდო და წესებიან თამაშში, საგნებით თამაშში, სენსორულ თამაშში, კვლევით თამაშში, შემოქმედებით თამაშში და რისკიან თამაშებში.

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილება ასახული იქნება მათ გეგმებში, თავიანთი და ბავშვების პორტფოლიოებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №104 17.06.2025)** „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.
წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება როგორც სატენდერო, ასევე გამარტივებული შესყიდვის გზით.
საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

1.მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბაღების მიხედვით;
2.შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბაღების მიხედვით;
3.შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში/ შესყიდვის განხორციელება;
4.შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა;
5.შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბაღების მიხედვით;
6.შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში;
7.ხარჯვის აქტი/ საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია (დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით);

საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ერთხელ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით.

ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებებისთვის დაწესებულება იყენებს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტს.

ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმის გარდა, დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს:
ა)თემში არსებულ მარკეტებთან /მაღაზიებთან გაფორმებული მემორანდუმის გზით მეორადი გამოყენებადი მასალების მოპოვება.
ბ)საგანმანათლებლო პერსონალის/მშობლების მიერ საგანმანათლებლო აქტივობებისთვის საჭირო რესურსის დამზადება,
აღნიშნული დასტურდება დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან და მენეჯერთან ინტერვიუს დროს, კერძოდ, აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ **დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღსა** და თემში არსებულ მარკეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმია გაფორმებული, რომლის ფარგლებშიც მარკეტი პერიოდულად გადასცემს საბავშვო ბაღს მეორად მასალას.
პერსონალი ინტერვიუში მშობლების ჩართულობაზე საუბრობს. მათი თქმით, აღსაზრდელთა მშობლები პერიოდულად ამარაგებენ საბავშვო ბაღს მეორადი და ბუნებრივი მასალით. აღნიშნული მასალის მოძიებაში თავად დაწესებულების პერსონალიც არის ჩართული.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №107 18.06.2025**) - „საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა".

აგრეთვე, .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №104 17.06.2025**) - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი", **მუხლი 5.საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა,** რომლის მიხედვითაც:

1.დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება მათ მიერ შერჩეულ კურიკულუმებს;
2.დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
2. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია ბავშვის განვითარების სფეროები და თემატური მიმართულებები;
3. რესურსების ნუსხა მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა ჯგუფზე გაანგარიშებით, რომელიც შედგენილია საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და დამტკიცებულია .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით (**ბრძანება №107 18.06.2025**) - „რესურსების ნუსხის დამტკიცების შესახებ", თუმცა, ვერ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსების შესყიდვის და მიღება-ჩაბარების აქტები, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა
................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტის მიერ დადგენილი შეუსაბამობა მართებულად არ ცნო და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია.

ექსპერტი არ ეთანხმება დაწესებულების განმარტებას, ვიზიტის დროს ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტში საგანმანათლებლო რესურსების შესაძენად გამოყოფილ თანხასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ, ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგენილ ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტში, ხარჯების ჩამონათვალში, გათვალისწინებული იყო ე.წ „ოფისის ხარჯი" 10 000 ლარის ოდენობით, რომელიც მიემართებოდა არა საგანმანათლებლო რესურსების, არამედ, „საკანცელარიო. საწერ - სახაზავი ქაღალდის. ბუღ.ბლანკები. ბიულეტ. კანც.წიგნების და სხვა ან მასალების" შესაძენად.
აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, ცენტრმა ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მოიძია ინვოისები (დანართი 2), რომელთა საფუძველზეც ახორციელებს შესყიდვას გამარტივებული წესით. აღნიშნული დასტურია იმისა, რომ ცენტრი სრულად იაზრებს მეორე სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს დაწესებულების საჭირო რაოდენობით საგანმანათლებლო რესურსით აღჭურვას.
აქედან გამომდინარე, ექსპერტის შეფასება იცვლება სრული შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.**

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღში** ჯგუფური ოთახების მოწყობა შერჩეული კურიკულუმების შესაბამისია, რაც ვლინდება გარემოს მოწყობაში იმგვარად, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ მრავალფეროვან და მრავალგვარ თამაშებში.
ჯგუფური ოთახები არის მყუდრო, უზრუნველყოფილი როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. კედლები ნეიტრალური ფერისაა. ჯგუფებში ვხვდებით დაბალბეწვიან ხალიჩებს და ბალიშებს. ბავშვებისთვის განკუთვნილი ავეჯი ხის ფაქტურისაა, ბავშვის სიმაღლის შესაბამისია და ნეიტრალური ფერისაა.
ჯგუფური ოთახები დაყოფილია სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად - აქტივობის ცენტრებად: წიგნიერების სივრცე, ხელოვნების სივრცე, დრამატული თამაშების სივრცე, სენსორული სივრცე, კუბურების სივრცე, წყნარი სივრცე - სივრცე განმარტოებისთვის, სამაგიდო თამაშების სივრცე, კულინარიის ცენტრი, მუსიკალური ცენტრი, კვლევისა და აღმოჩენების სივრცე, სივრცე მოლაპარაკებებისთვის.
ცენტრების მოწყობისას დაცულია აქტიური და პასიური სივრცეების განლაგების პრინციპი. სივრცეები ერთმანეთისგან გამოყოფილია მკაფიო საზღვრებითა და ვიზუალური მინიშნებებით.

თითოეულ სივრცეს აქვს მისთვის შესაბამისი ვიზუალური მინიშნება და აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსით, მათ შორის მზა, და ღია რესურსით, როგორიცაა ბუნებრივი და მეორადი მასალა.
საგანმანათლებლო რესურსები ბავშვების სიმაღლეზე ღია თაროებზეა განთავსებული, რაც უზრუნველყოფს აღსაზრდელებმა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე აიღონ სასურველი ნივთი. რესურსები კონტეინერებში და სხვადასხვა სათავსოებშია დახარისხებული და აქვს შესაბამისი ვიზუალური მინიშნებები.
ჯგუფურ ოთახებში წარმოდგენილი კედლის თვალსაჩინოებები ბავშვების სიმაღლეზეა განთავსებული. (დღის ვიზუალური განრიგი, ამინდის კალენდარი, ჯგუფის ვიზუალური წესები)

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა შერჩეული კურიკულუმების შესაბამისია, რაც ვლინდება ეზოს მოწყობაში იმგვარად, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ მრავალფეროვან და მრავალგვარ თამაშებში.
საბავშვო ბაღის ეზოში მოწყობილი ფუნქციური სივრცეებია: ადგილი მოძრავი თამაშებისთვის - სარბენი, სახტუნაო, ბურთის სათამაშო ადგილი, საქვიშეები, სენსორული ბილიკი, ასაცოცი და გასაძრომი მოწყობილობა, საჩრდილობელი აღჭურვილი მაგიდით და სკამებით, სასრიალოებით და საქანელებით აღჭურვილი ატრაქციონები, ხის გადაჭრილი მორებისგან დამზადებული აღჭურვილობა ბალანსისა და კოორდინაციისთვის. მაგიდა სკამებით, მუსიკალური კედელი, პატარა სახლი)
დაწესებულების შენობაში არის დარბაზი, სადაც ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა დახარჯონ ენერგია, ირბინონ და იხტუნონ, ჩაატარონ სხვადასხვა ტიპის აქტივობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღში** შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმების შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, აღნიშნული ხელს უწყობს ბავშვების მრავალმხრივ განითარებას, რაც ვლინდება შემდეგში: დაწესებულების ჯგუფებში, აქტივობის ცენტრები შესაბამისი მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსით არის აღჭურვილი, ხოლო ეზოში მოწყობილ სივრცეებში ინვენტარი ლოგიკურადაა განთავსებული.
როგორც ჯგუფებში, ისე ეზოში, რესურსები და მასალები იმგვარდაა მოთავსებული, რომ ბავშვებს ადვილად შეუძლიათ მოახდინონ ორიენტაცია და სასურველი ნივთების გამოყენება.
საგანმანათლებლო რესურსები ბავშვების სიმაღლეზე ღია თაროებზეა განთავსებული, რაც უზრუნველყოფს აღსაზრდელებმა ზედმეტი ძალისხმევის გარეშე აიღონ სასურველი ნივთი.
რესურსები კონტეინერებში და სხვადასხვა სათავსოებშია დახარისხებული და აქვს შესაბამისი ვიზუალური მინიშნებები.

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ ბავშვებს ეძლევათ შესაძლებლობა შეუზღუდავად ისარგებლონ საგანმანათლებლო რესურსით, როგორც ჯგუფებში, ისე ეზოში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

### 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღში** ჯგუფური ოთახები დაყოფილია ცენტრებად და მოწყობილია სივრცეები აქტიური და პასიური თამაშებისთვის.
ოთახში გამოყოფილია წყნარი სივრცე დაბალბეწვიანი ხალიჩით, სადაც ბავშვებს განმარტოების და წიგნების დათვალიერების საშუალება აქვთ (ხის სახლი რბილი დასაგებით). აქვე ვხვდებით სენსორულ სივრცეს, რომელიც შესაბამისი რესურსით არის აღჭურვილი.
ჯგუფში ასევე მოწყობილია ხელოვნების, სამაგიდო თამაშების, კუბურების, დრამატული თამაშების, კულინარიის და მუსიკალური ცენტრები. იქვეა მოწყობილი სალონის სივრცე.
ჯგუფის სივრცე იძლევა საშუალებას მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობების განხორციელებისთვის. ჯგუფში განლაგებული ბავშვის ზომის მაგიდები საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალურად, ისე 2-მა, 4-მა, ან მეტმა ბავშვმა ერთობლივად იმუშაოს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
რჩევა
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №106 18.06.2025)** - „ბავშვის დაკვირვების/შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ";
.ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №104 17.06.2025)** - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი".
წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის იყენებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.
დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს:

1.ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
2.მოკლე კითხვარები;
3.ჩეკ-ლისტები;
4.სკალები;
5.ცხრილები ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუს დროს ასახელებს დაკვირვების და შეფასების მეთოდებს და საუბრობს მათი წარმოების მნიშვნელობაზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №106 18.06.2025**) - „ბავშვის დაკვირვების/შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
.ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №104 17.06.2025**) - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“.
დოკუმენტების თანახმად, საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს:

1.ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
2.მოკლე კითხვარები;
3.ჩეკ-ლისტები;
4.სკალები;
5.ცხრილები ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.

დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:
ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;
გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში;

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №106 18.06.2025**) - „ბავშვის დაკვირვების/შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ";
.ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №104 17.06.2025**) -  „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი".
დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება ბავშვის შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ. ბავშვზე დაკვირვების, შეფასების შედეგების ანალიზი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

**1.**მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
**2.**გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
**3.**საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
**4.** დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს;

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროცესი ყველასათვის ერთნაირი არ არის. ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საჭიროებები გათვალისწინებულია ჯგუფის გეგმებში. პერსონალი აღნიშნავს, რომ დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია მათ სათანადო გადაწყვეტილებების მიღებაშიც ეხმარება, რაც ბავშვებისათვის დღის საქმიანობების დაგეგმვასთან, მათი პროგრესის შეფასებასთან არის დაკავშირებული.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №104 17.06.2025)** - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად  უზრუნველყოფის წესი“, **მუხლი 8 . ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები, მე-5 ნაწილის “დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს“:**
**„გ“პუნქტით  „ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში;**

აღნიშნული ცხადყოფს, რომ პროცესი გაწერილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №104 17.06.2025**) - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;

2. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება (**ბრძანება № 105 18.06.2025**) -„გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ“;

3. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №106 18.06.2025**) - „ბავშვის დაკვირვების/შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ“;

4. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №107 18.06.2025**) - „საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.2. კურიკულუმის განხორციელება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

## 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №78 14.04.2025)** - „კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“.
დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთხელ, ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.
კურიკულუმის შეფასების პროცესი დაეფუძნება:

ა)საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
ბ)ფიზიკური გარემოს შეფასებას;
გ)მშობლების უკუკავშირს;
დ)საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას;
ე)ქოუჩ(ებ)ის საგანმანათლებლო პერსონალთან თანამშრომლობის შეფასებას;

დაწესებულებამ, აგრეთვე წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება №103 17.06.2025)** - „შერჩეული/ შექმნილი კურიკულუმების დამტკიცების შესახებ“.
აღნიშნულ დოკუმენტს თან ახლავს კითხვარი - **„კურიკულუმის შეფასების ფორმა“.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება **(ბრძანება №103 17.06.2025)** - „შერჩეული/ შექმნილი კურიკულუმების დამტკიცების შესახებ“ ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შეფასებაზე პასუხისმგებელი პირია .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს საგანმანათლებლო რესურსების განვითარების კოორდინატორი,

რაც არ არის თანხვედრაში მათსავე წარმოდგენილ მექანიზმთან, .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №78 14.04.2025)** „კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი", რომლის მიხედვითაც, კურიკულუმის შეფასებისთვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს და .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებაში **(ბრძანება №103 17.06.2025)** - „შერჩეული/ შექმნილი კურიკულუმების დამტკიცების შესახებ" შეიტანოს შესაბამისი ცვლილება, რაც თანხვედრაში იქნება .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ **(ბრძანება №78 14.04.2025)** „კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესთან", რომლის მიხედვითაც, კურიკულუმის შეფასებისთვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №78 14.04.2025)** - „კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი"
დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შეფასების მიზანია ცენტრმა/დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტურად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №78 14.04.2025)** - „კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი", **მუხლი 6. კურიკულუმში ცვლილების შეტანა და განვითარება,** დაწესებულება გააანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში. კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველი გახდება კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/ და რეკომენდაციები.
კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი.

აღნიშნული საკითხი აგრეთვე დასტურდება საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის

ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №78 14.04.2025**) - „კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“;

2. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანება (**ბრძანება №103 17.06.2025**) - „შერჩეული/ შექმნილი კურიკულუმების დამტკიცების შესახებ“.
3.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

#### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

#### 1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება № 108 18.06.2025**) - „ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში იკითხება, რომ საბავშვო ბაღი თანამშრომლობს როგორც მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, ისე თემთან.
სწორედ ამ მიზნით, წინასწარ გეგმავს მათთან აქტივობებს.

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №109 19.06.2025)** - „საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ".
საკომუნიკაციო გეგმაში იკითხება ბაღის მიერ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან და თემთან დაგეგმილი აქტივობები და განსახილველ საკითხთა ჩამონათვალი, პერიოდულობის მითითებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც ვლინდება ბაღის მიერ დაგეგმილ აქტივობებში.
ჩართულობა ეხება დაწესებულების შიგნით და მის გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებს. აღნიშნული დასტურდება საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუთი და ბაღის საკომუნიკაციო გეგმით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება № 108 18.06.2025) -** „ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში იკითხება, რომ საბავშვო ბაღს იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მრავალფეროვანი მეთოდები და არხები, რომელსაც იყენებს ოჯახთან და თემთან ურთიერთობისას.

ა)პირისპირი შეხვედრები;
**ბ)** დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით (Zoom-ი, Teams-ი)
**გ)**მატერიალური კორესპონდენცია;
დ)საინფორმაციო დაფები;
**ე)**მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
**ვ)**სატელეფონო ზარები;
**ზ)** ელექტრონული ფოსტა;
**თ)**ცენტრის/დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორტმა/ქსელი (Faceboo-ი, Viber-ი, ელ-ფოსტა);
**ი)**სოციალური მედიის დახურული ჯგუფები (chat-ი, მესენჯერი).

აღნიშნული საკითხი აგრეთვე დასტურდება საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალთან და მენეჯერთან ინტერვიუს დროს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება № 108 18.06.2025)** - „ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“.

2. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №109 19.06.2025)** - „საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“.
3.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

## 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება №109 19.06.2025**) - „საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ".
დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილია აქტივობები, რომლის განხორციელებასაც გეგმავს ბაღი მშობლებთან, მათ შორის ცნობიერების ამაღლების მიზნით, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკის შესახებ. გეგმაში მითითებულია პასუხისმგებელი პირები და აქტივობის განხორციელების პერიოდულობა. დაწესებულების მიერ მშობლების ინფორმირებულობა ხდება ქვემოთ ჩამოთვლილი საკომუნიკაციო არხებით:
ა)პირისპირი შეხვედრები;
**ბ)** დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით (Zoom-ი, Teams-ი)
**გ)**მატერიალური კორესპონდენცია;
დ)საინფორმაციო დაფები;
**ე)**მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
**ვ)**სატელეფონო ზარები;
**ზ)** ელექტრონული ფოსტა;
**თ)**ცენტრის/დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმა/ქსელი (Faceboo-ი, Viber-ი, ელ-ფოსტა);
**ი)**სოციალური მედიის დახურული ჯგუფები (chat-ი, მესენჯერი).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"- ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №104 17.06.2025)** - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი".
დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღმა** წარმოადგინა .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №109 19.06.2025)** - „საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ", რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია ბაღის ღია და საჯარო კომუნიკაცია თემის წარმომადგენლებთან და თემში არსებულ სერვისებთან.

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუს დროს საუბრობს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მნიშვნელობაზე. აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ აქტიურად გამოიყენებენ თემში და მუნიციპალიტეტში არსებულ რესურსებს, საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის (დიდი ჭყონის №1 საჯარო სკოლა, მუზეუმი, ეთნო სახლი „თაზოს ოდა", ახლომდებარე მარკეტი და ა.შ).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**დიდი ჭყონის №1 საბავშვო ბაღი** აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, რაც დასტურდება დაწესებულებაში „წინადადებების ყუთი“ -ს განთავსებით.
დაწესებულება, აგრეთვე გამოიყენებს შედგენილ კითხვარს ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შესაფასებლად, რაც დასტურდება .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება № 108 18.06.2025**) - „ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესით“, რომელსაც თან ახლავს **„ოჯახისა და თემის ჩართულობის შეფასების ფორმა“.**

დაწესებულება ასევე შეაფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს:
ა) ღია შეხვედრებით;
ბ) კომუნიკაციის კონკრეტული არხით მოსარგებლეთა რაოდენობის მონიტორინგით;
გ) სამიზნე აუდიტორიისგან უკუკავშირის მიღების სიჩქარის შემოწმებით.
აღნიშნული დასტურდება .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (**ბრძანება № 108 18.06.2025**) - „ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესით“ და ჩატარებული ინტერვიუს მეთოდით დაწესებულების მენეჯერთან და საგნმანათლებლო პერსონალთან.

აღნიშნული მექანიზმები საშუალებას იძლევა შეგროვდეს ოჯახისა და თემის მოსაზრებები განხორციელებულ აქტივობებთან მიმართებაში, შეფასდეს და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ცვლილებები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................
რჩევა
........................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №109 19.06.2025)** - „საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“;

2. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“- ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება №104 17.06.2025)** - „საგანმანთლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;

3. .ა.(ა)ი.პ.-მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **(ბრძანება № 108 18.06.2025)** - „ საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

## 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულებას ასევე აქვს შემუშავებული საქმიანობის შესაბამისი -ორგანოგრამა;

1. საბავშვო ბაღის მენეჯერი;
2. აღმზრდელი 8
3. II ცვლის აღმზრდელი 2
4. აღმზრდელის თნაშემწე 4
5. მნე
6.ჯანმრთელობის სპეციალისტი 1
7.დიასახლისი 3
8. მზარეული 1
9.მზარეულის თანაშემწე 2
10. დარაჯი 2

დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე - 7 მუხლის შესაბამისად (სამუშო აღწერილობა) სადაც განსაზღვრულია თანამშრომლის მიერ შესრულებული ფუნქციების მკაფიოობა, ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა თითოეული პოზიციისთვის, სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი შეიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას:

1. თანამდებობის/პოზიციის დასახელება;
2. შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები;
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
4. ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არ ყოფნის პერიოდში;

სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, მათთვის ნათელია შესასრულებელი ამოცანები და როლები.

დაწესებულებას არ ჰყავს შესაბამისი პერსონალი რის გამოც ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. ასევე ვერ ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებს, აღსაზრდელთა სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და შეზღუდული შესაძლებლობებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა

.......................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დანართი N3-ის სახით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია შესაბამის ინდიკატორთან მიმართებაში, კერძოდ წარმოადგინა შპს საქართველოს ბიზნეს აკადემია SBA-სთან გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც ხელშეკრულების საგანს წამოადგენს აკადემიის „პროფესიული გადამზადების პროგრამის-სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა (შემდგომში პროგრამა), ხელშეკრულებაში ასევე გაწერილია მსმენელთა რაოდენობა. ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციის მიერ 3 თვიანი პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცა შესაბამისი სერთიფიკატი(ებ)ი. ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება 3 მიზეზს, კერძოდ, ეს გახლავთ: 1.მარტვილის მუნიციპალიტეტში კადრების გადინება, სიმწირე; 2.საბავშვო ბაღ(ებ)ში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალის გაძლიერება; 3.ცენტრის შეზღუდული ბიუჯეტით ზემოაღნიშნული პრობლემის მცირე დროში გადაჭრის შესაძლებლობა. ცენტრი კვლავ გეგმავს ახალდანიშნული საგანმანათლებლო პერსონალის გაძლიერებას „საქართველოს ბიზნეს აკადემია-SBA"-სთან თანამშრომლობით. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება სრული შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა-ორგანოგრამა, რომელიც ასახავს თანამდებობრივ დაქვემდებარებას. დაწესებულებას ასევე აქვს შემუშავებული შინაგანაწესი,_რომელიც დამტკიცებულია 31.03.2025 წელს ბძანება N70, სადაც განსაზღვრულია სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულპირთა ფუნქციები. ფუნქციების შინაარსში აღწერილია მათი მოვალეობები, რომელიც ასევე დგინდება ხელშეკრულებით და სამუშაო აღწერილობებით, დანართი N1-ის შესაბამისად.
დაწესებულების შინაგანაწესის მუხლი 51-ით (აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი) განსაზღვრული აქვს აღმზრდელის უფლება მოვალეობები, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ჯგუფის სააღმზრდელო საქმიანობის დაგეგმვაში აღმზრდელთან ერთად, ასევე მუხლი 59-ით განსაზღვრულია (აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე (პირი რომელიც ეხმარება აღმზრდელ/პედაგოგს/აღმზრდელს) ასევე აღმზრდელის უფლება-მოვალეობები სადაც აღმზრდელი გეგმავს და ანხორციელებს ასაკობრივი განვითრების შესაბამის აქტივობებს, ჩანაწერი გაურკვეველია, ვინაიდან ერთი სამუშაო აღწერილობა უნდა იყოს საერთო ამ პოზიაციაზე დასაქმებული თითოეული პირისთვის, კერძოდ აღმზრდელის პოზიციაზე დასაქმებულ ყველა პირს უნდა ჰქონდეს ერთი სამუშაო აღწერილობა და ასრულებდეს ერთსა და იმავე მოვალეობებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

### რჩევა

.................................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორის მოთხოვნასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ცენტრში შემავალ სხვადასხვა საბავშვო ბაღს აქვს განსხვავებული მოწყობა, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის მხრივ. ქალაქის საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო პროცესს ჯგუფში წარმართავენ აღმზდელ-პედაგოგები და აღმზრდელები, ხოლო სხვა ადმისნისტრაციულ ერთეულში (სოფელში) აღმზრდელები. ცენტრის მიერ წარმოდგენილ „შრომის განაწესი“-ს 51-ე და 59-ე მუხლებით მკაფიოდაა განსაზღვრული ის საგანმანათლებლო პერსონალის უფლება-მოვალეობები, რომლებიც დასაქმებული არიან ქალაქისა (მუხლი 51) და სოფლის

ადმინისტრაციული ერთეულის (მუხლი 59) საბავშვო ბაღებში. განსხვავება დაწესებულების მოწყობაშია, რაც განსაზღვრულია ცენტრის საშტატო ნუსხით. ამასთანავე, ქალაქის საბავშვო ბაღებში მომუშავე აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის ფუქციები თანმიმდევრულად იდენტურია ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებად საბავშვო ბაღებში დასაქმებული აღმზრდელებისა და აღმზრდელის თანაშემწეების ფუნქციებისა. ამ გარემოებების გათვალისწინებით საერთო სამუშაო აღწერილობა შეუძლებელია გამოყენებული იქნეს ცენტრის ადმინისტრირებაში მყოფი არაერთგვაროვნად მოწყობის საბავშვო ბაღებში დასაქმებული საგანმანათლებლო პერსონალისთვის კერძოდ აღმზრდელებისთვის და აღმზრდელის თანაშემწეებისთვის. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება სრული შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.**

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პესონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების რეგულაციებად განსაზღვრულია შემდეგი აქტები: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 ნოემბრის დადგენილება N37 და ა(ა) იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-საამზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 ივნისის N110 ბრძანებით დამტკიცებული “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი” კერძოდ მუხლი 17 (პერსონალის კვალიფიკაცია), ასევე დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამსახურეობრივი ფუნქციების განაწილებისა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტები, არეგულირებს, როგორც დირექტორის ასევე საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს .

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N111 ბრძანებით დამტკიცებული აქვს " პირველადი სამედიცინო დახმარების წესი" ასევე ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, ვინაიდან გაიარეს ტრენინგი თემით "პირველადი (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარება" რაც დასტურდება სერთიფიკატებით და ინახება მათ პირად საქმეებში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

## 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი"დანართი N1 ის შესაბამიდ, რომელიც წარმოადგენს დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის წესებისა და პროცედურების განმსაზღვრელ დოკუმენტს, სადაც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, დაწესებულების სტრუქტურა სამუშაო აღწერილობა კადრების მოზიდვა და შერჩევა, ვაკანტურ პოზიციაზე დანიშვნის გზები პერსონლის კვალიფიკაცია, ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითრება, აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია 2025 წლის 31 მარტის N70 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესთან და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან. დაწესებულებაში დასაქმებულთა სამუშო განისაზღვრება 40 საათიანი სამუშო კვირით, კვირაში 5 სამუშაო დღე, დღეში მაქსიმალური 8 საათიანი სამუშო რეჟიმით. შეუფერხებელი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, დასაქმებულთა ერთსათიანი შესვენების დროის გამოყენება განიზღვრება 13:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე /14.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე. პერიოდში. მეორე ცვლის აღმზრდელის არასრული სამუშაო განაკვეთის სამუშო დრო განისაზღვრება დასვენების დროის გარეშე 4 საათი 14.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.

სამუშაო საათების რაოდენობა სრულ და არასრულ სამუშო განაკვეთზე მომუშავე თნამშრომებისათვის განსხვავებულია და მითითებულია სამუშაო აღწერილობებსა და შრომით ხელშეკრულებაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება აღმზრდელ პედაგოგთან/პედაგოგთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და ასევე მათ ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებს, კერძოდ, ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად:
5.1 დასაქმებულის სამუშაო დრო განისაზღვრება 40 სათიანი სამუშაო კვირით (5 სამუშაო დღე)
5.2 დასაქმებული ვალდებულია ყოველდღიურად იმუშაოს არაუმეტეს 8 საათისა, მათგან:
7 საათი განისაზღვრება, როგორც საკონტაქტო დრო ბავშვებთან უშუალო საქმიანობისთვის, საგანმანათლებლო პროცესის წარსამართად;
1 საათი განისაზღვრება, როგორც არასაკონტაქტო დრო, რომელიც უნდა გამოიყენოს საგანმანათლებლო პროცესის მასამზადებლად, ბავშვების შეფასებისა და სხვა პროფესიული სამუშაოების შესასრულებლად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“დანართი N1 ის

შესაბამიდ, სადაც მუხლი 8-ით განისაზღვრება კადრების მოზიდვის და შერჩევის პროცედურები, სადაც გათვალისწინებულია ობიექტურობა და გამჭირვალობა, დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას. დაწესებულებაში პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხდევა შემუშავებული წესის მე 9 მუხლის შესაბამისად კერძოდ:

1. პირი პერსონალის ვაკანტურ თანამდებობაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით ან კონკურსის (ღია/ დახურული) საფუძველზე.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გზებით დანიშვნისას დაწესებულებასი დაცულია ობიექტურობისა და გამჭირვალობის პარამეტრები.
3. შერჩევის ეტაპზე დაწესებულება ეყრდნობა ამ კონკრეტული პოზიციისთვის შემუშავებულ სამუშაო აღწერილობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“დანართი N1 ის შესაბამიდ, სადაც მე-8 მუხლით განისაზღვრება ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის მექანიზმები, კერძოდ:

ა) ახალი თნამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ხედვის, ღირებულებების, ისტორიის სტრუქტურის გაცნობა;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელ(ებ)თან და სხვა კოლეგებთან;

გ) ტრენინგების/სასწავლო კურსების უზრუნველყოფა;

დ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;
ე) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;
ვ) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თნამშრომლის ინფორმირება;
ზ)მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ხალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, განსაზღვრულია, ჩანაცვლების საკითხი, პერსონალი ვალდებულია კოლეგის არ ყოფნის შემთხვევაში შეითვსოს ის ფუნქცია-მოვაკლეობები, რომლებიც უზრუნველყობს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მდგრადობას. პერსონალს აქვს კოლეგიალური, პატივისცემასა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთთანამშრომლობა და მუშაობს გუნდურად, პერსონალი მხარს უჭერს თითოეული თანამშრომლის ინიციატივებს და ასევე ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს. პერსონალი ამჟღავნებს პროფესიულ სოლიდარობას და კოლეგიალობას, დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძვნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რომელიც დგინდება ინტერვიუს შედეგად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი"დანართი N1 ის შესაბამიდ, სადაც მე-20 მუხლით თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითრება მოიცავს მთელ რიგ აქივობებს რომელსაც ანხორციელებს დაწესებულება და ესენია:

1. პესონალის მიზნობრივი პროფსიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას ცენტრი თანამშრომლებს სთვაზობს პროფესიული განვითრების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც ცენტრის ბაზაზე, ასევე, გარედან შემოთავაზებული სერვისებით.
2. ცენტრის პერსონალის პროფესიული განვითრებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები:

ა)ტრენინგი;

ბ) მენტორინგი;

გ)პროექტები;

დ)თვითგანვითარება;

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვა წარმოდგენილია დოკუმენტებში გაწერილი მექანიზმებით, როგორც სტრუქტურირებული და სისტემური პროცესი, რომელიც მოქმედი რეგულაციების შესაბამისად მოიცავს პერსონალის პროფესიული განვითარების ყველა ძირითად ეტაპს - საჭიროებების იდენტიფიცირებას, შეფასებას, დაგეგმვასა და განხორციელებას, პერსონალის განვითარების პროცესი უნდა განხორციელდეს იმ გეგმის შესაბამისად, რომელიც დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანებით აქვს დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი_წესი“დანართი N1 ის შესაბამიდ, სადაც მე-20 მუხლით განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითრება, ხოლო მე 3 პუნქტის შესაბამისად, კერძოდ ცენტრის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

## 1. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი_წესი"დანართი N1 ის შესაბამიდ, სადაც მე-20 მუხლით თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითრება მე-4 პუნქტით, პერსონალის განვითარებასთნ დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია ცენტრის მიერ, ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან, ასევე მე-5 პუნქტით ცენტრს აქვს პერსონალის განვითრებასთნ დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება:

ა) ცენტრს აქვს პერსონალის მიერ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივის ზეპირსიტყვიერად ან წერილობით დადგენა;

ბ) "იდეების ყუთის" გამოყენება ინიციატივების დასაფიქსირებლად;

გ) მერიის/თემის ჩართულობით პერსონალის მიღწევების საჯაროდ აღიარება, ჯილდოს/საჩუქრის გადაცემა, თანამდებობრივი წინსვლა, თანამდებობრივი სარგოს გაზრდა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
*1.* ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანება ით დამტკიცებული “პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი”
2. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების 2025 წლის საშტატო განრიგი
3. ორგანოგრამა
4. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
5. შრომის შინაგანაწესი
6. პერსონალის ხელშეკრულება
7. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 ნოემბრის N37 დადგენილება
8. და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N111 ბრძანებით დამტკიცებული “პირველადი სამედიცინო დახმარების წესი’.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

## 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N113 ბრძანებით დამტკიცებული აქვს_"პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი", რომელშიც პუნქტობრივად გაწერილია მმართველობითი ძირითდი და დამხმარე პროცესები. დოკუმენტს აქვს დანართები:
დანართი N1 დაწესებულების პროცესები და მათი აღმწერები.
დანართი N2 რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების შაბლონი
დანართი N3 ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შაბლონი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N113 ბრძანებით დამტკიცებული აქვს_"პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი",

რომელშიც პუნქტობრივად გაწერილია მმართველობითი ძირითდი და დამხმარე პროცესები. მუხლი 5 -ით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, სადაც ხარისხის განვითარების ციკლი ეფუძვნება სქემას. აღნიშული სისტემა დაფუძვნებულია თვითშეფასებაზე და გულისხმობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას მათი შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. დაგეგმე- პირველი ეტაპი; განახორციელე-მეორე ეტაპი; შეამოწმე ხარისხის ციკლის მესამე ეტაპი და გადახედე/გააუმჯობესე რომელიც ასახავს შეფასების შედეგად გამოვლენილ -ხარვეზის აღმოფხვრის გზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
ა(ა) იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი-ში მიმდინარე პროცესების ხარისხის გაუმჯობესების, ორგანიზებული მართვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების დირექტორის 03.01.2025 წლის N6 ბრძანებით ხარისხის მართვის მენეჯერად დანიშნული ჰყავს თანამშრომელი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N114 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარებულირებელი წესი“- რომლის მიხედვითაც ხორციელდება დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვა.

ასევე მშობელსა და სტრუქტურულ ერთეულს შორის იდება ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია მშობლის და დაწესებულების ვალდებულებები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვების პირადი საქმეების წარმოება მიმდინარეობს ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N114 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარებულირებელი წესი"- ს შესაბამისად, სადაც განსაზღვრულია დაწესებულების გაერთიანების სტრუქტურულ ერთულებში „ბავშვების ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი-ს" მე 5 პუნქტით გაწერილია ბავშვის მშობლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის დაწესებულებაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ, ხოლო თანამშრომელთა პირადის საქმეების წარმოება რეგულირდება ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი"ს შესაბამისად, პერსონალის პირად საქმეები მოიცავს პირად, საკვალიფიკაციო და ადმინისტარციულ დოკუმენტციას. მათ შორის ინდენტიფიკაციისა და საკონტაქტო მონაცემებს, განათლების, კვალიფიკაციისა და პოზიციის შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, შრომითი ხელშეკრულებებისა და ბრძნებების ასლებს შინაგანაწესის გაცნობაზე ხელმოწერებს და სხვა. ასევე პირად საქმეებში დევს ცნობები სქესობრივი თვისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-სა და მასში შემავალი ყველა საბავშვო ბაღში პერსონალური მონაცემების უსაფრთხო და კანონიერად დამუშავების უზრუნველყოფის მოთხოვნების გათვალისწინებით დირექტორის 03.01.2025 წლის N4 ბძანებით დანიშნული ჰყავს პირი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თანამდებობაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N110 ბრძანება ით დამტკიცებული “პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი”

2. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N114 ბრძანება ით დამტკიცებული “ბავშვის ჩრიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი”

3.ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 03.01.2025 წლის N4 ბრძანება პერსონალურ მონაცემთ დაცვის ოფიცრად დანიშვნის შესახებ
ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 19.06.2025 წლის N114 ბრძანება ით დამტკიცებული “პროცესების არმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის წესი”

| შეფასება: |
|---|

| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამებ.ა ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და 2025 წლის N111 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პირველდი დახმარების აღმოჩენის წესი“, სადაც გაწერილია მექანიზმები და პროცედურები, დაწესებულებაში მექანიზმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული მედდა. დაწესებულებას ჰყავს მედდა, ასევე დაწესებულებაში არის გამოყოფილი საჭირო სივრცე, რომელიც აღჭურვილია პირველდი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარით. დაწესებულების ჯანრთელობისა და ჰიგიენის სპეციალისტს აქვს დიპლომი სამედიცინო მიმართულებით. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა რომელიც დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის 2025 წლის 08 ივლისის ბრძანება N 147-ით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად.
დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N223, რომელიც თარიღდება 2025 წლის 11 ივლისით, სადაც შემაჯამაბელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ არ არის დამაკმაყოფილებელი და არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა უფლებამოსილ

ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის (აქტი N-515) საფუძველზე აღმოჩენილი შეუსაბამობების შესახებ 12 თვის განმავლობაში 20.07.2025 წლიდან 20.07.2026 წლამდე პერიოდში, დაგეგმილი აქტივობები და კონკრეტული ქმედებებ, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ.

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმით უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის (აქტი N-223) საფუძველზე აღმოჩენილი შეუსაბამობების შესახებ 12 თვის განმავლობაში 20.07.2025 წლიდან 20.07.2026 წლამდე პერიოდში, დაგეგმილი აქტივობების და კონკრეტული ქმედებების განხორციელება, რომელიც მიემართული იქნება საკითხის გამოსწორებისკენ.

რჩევა

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებს წარმოდგენილი ჰქონდა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის 12 თვიანი გეგმა, 20.07.2025 წლიდან 20.07.2026 წლამდე პერიოდში და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად იყო დაკმაყოფილებული.დაწესებულებამ განმეორებით არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებით წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 12 თვის განმავლობაში, სადაც შეცვლილია თარიღი, კერძოდ 06.11.2025 წლიდან 06.11.2026 წლამდე პერიოდში დაგეგმილი აქტივობების და კონკრეტული ქმედებების განხორციელების შესახებ, ვინაიდან ექსპერტის შეფასება იყო მეტწილი, შეფასება არ იცვლება და რჩება იგივე, კერძოდ **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აღრიცხული აქვს საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული ნარგავების ნუსხა და ესენია  ნეკერჩხალი, ტუია დეკორტიული ნაძვი, მცენარეები აღრიცხულია ინვენტარიზაციის დოკუმენტში.

**ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური  თანხმობის ფორმა  კურიკულუმის ფარგლებში საბავშვო ბაღის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა რომელიც დადასტურებულია ხელმოწერით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ზრუნავს შექმნას ისეთი გარემო, სადაც ბავშვები კომფორტულად და უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დღის განრიგი, რომელიც ხდის საგანმანათლებლო პროცესს უფრო თანმიმდევრულს და ორგანიზებულს. დაწესებულებას შემუშავებული და ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის N24-ი ბრძანებით დამტკიცებული აქვს დღის განრიგი, რომელიც ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელია. დაწესებულებაში ასევე არის ვიზუალური მინიშნებები, რომ ბავშვებმა ადვილად შეძლონ აქტივობების თანმიმდევრული აღქმა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს, ბავშვთ უფლებათა სფეროში კომპეტყენციის გაზრდის მიზნით დაწესებულების მენეჯერმა და საგამანათლებლო პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგი “ბვშვთა უფლებების დაცვის შესახებ “, რაც დასტურდება სერტიფიკატებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას 2025 წლის 20 ივნისს N116 ბრძანებით შემუშავებული დამტკიცებული აქვს“ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ დანართი N1; დანართი N2 -ის შესაბამისად, რომელიც რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად. შემუშავებულ წესში განსაზრვრულია პროცედურები, თუ როგორ უნდა იმოქმედოს დაწესებულებამ ბავშვის ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, დაწესებულებას ასევე 2025 წლის 20 ოვნისის ბრძანება N117-ით განსაზღვრული ჰყავს ყველა სტრუქტურულ ერთეულში თითოეულ ჯგუფში ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და ეს არის აღმზრდელი.

რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ფლობს ძალადობის სკითხებთან დაკავშირებით საკმარის ცოდნას და კომპეტენციას. პასუხისმგებელ პირს აქვს შესაბამისი სწავლება//გადამზადება გავლილი, რაც დადასტურდება გაცემული სერთიფიკატით და ინახება მის პირად საქმეში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შეემუშავებული და დამტკიცბული პროგნოზირებადი დღის განრიგი, ბავშვს ეხმარება შიდა ტრანზიციის მარტივად გადალახვაში, სასწავლო-სააღმზრდელო წლის პირველი სამი კვირის მანძილზე ბავშვი მშობელთან ერთად სტუმრობს დაწესებულებას კერძოდ იმ ჯგუფს, რომელშიც მთელი წლის განმავლობაში მოუწევს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გავლა, რათა უფრო მარტივად მოახდინოს ადაპტაცია. დაწესებულებაში ადაპტაცია და ტრანზაცია დგინდება ინტერვიუს საფუძველზე, ასევე დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დღის განრიგით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას 2025 წლის 20 ივნისს N116 ბრძანებით შემუშავებული დამტკიცებული აქვს "ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი"ს მე-6 მუხლის შესაბამისად გაწერილი აქვს ინფორმაციის კონფედენციალურობა და რეფერირებასთან დაკავშირეული პროცედურების წესები. ასევე დაწებულებას 2025 წლის 03 იანვრის N4 ბრძანებით დანიშნული ჰყავს პერსონალური ინფორმაციის დაცვის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური ინდფორმაციის შეგროვებაზე, შენახვაზე, გამოყენებაზე და გამჟღავნებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
....................................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

*1.* . ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 20.06.2025 წლის N116 ბრძანებით დამტკიცებული "ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი"

2. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 2025 წლის წლის N111 ბრძანებით დამტკიცებული “პირველადი სამედიცინო დახმარების წესი”
3. სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N223 თარიღი 2025 წლის 11 ივლისი. (წერილის პასუხი)
4. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
5. შესაბამისობის გეგმა
6. ცენტრის დირექტორის 03.01.2025 წლის ბრძანება N4 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის თნამდებობაზე დანიშვნის შესახებ

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

## 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს 2025 წლის ერთიანი სამოქმედო გეგმა, 2025-2029 წლების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული ოთხი მიზანი, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი ფინანსური რესურსები. კერძოდ დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს მეოთხე სტრატეგიულ მიზანში: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო რესურსებით გარემოს გაძლიერება, სადაც ამოცანაა საგანმანათლებლო რესურსების განახლება, აქტივობა კი სათამაშოების და მასალების შეძენა, ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით ვერ დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების შესაძენას (მაგ: სათამაშოების, განმავითარებელი რესურსი, საგანმანათლებლო მასალები და სხვა)

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა

..............................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორის მოთხოვნასთან დაკავშირებით და განმარტა,რომ ინდიკატორის მომთხოვნასთნ მიმართებით აღწერილი შეუსაბამობები უკავშირდება მარტვილის მუნიციპალიტეტის შეზღუდულ ფინანსებს, რაც არ იძლევა საშუალებას ცენტრის ადმინისტრირებაში მყოფ ყველა საბავშვო ბაღს ერთდროულად მიეწოდოს საკმარისი საგანმანათლებლო რესურსი, თუ სხვა საჭირო საქონელი. გარდა ბიუჯეტში მუხლობრივად განსაზღვრული თანხისა, რომელიც კონკრეტულად ითვალისწინებს ამა თუ იმ საქონლის/პროდუქტის შესყიდვას, ცენტრის დირექცია წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი თნხმობის საფუძველზე ბიუჯეტში ანხორციელებს შიდამუხლობრივ ცვლილებებს. აღნიშნულის განთვალისწინებით ცენტრი ეტაპობრივად უზრუნველყოფს მის ადმინისტრირებაში მყოფი საბავშვო ბაღების სტანდარტის მოთხოვნებთნ შესაბამისობაში მოყვანას და მარტვილის მუნიციპალიტეტში შესაძლებლობას მისცემს ყველა სკოლამდელ დაწესებულებას ავტორიზებული დაწესებულების სტატუსით განაგრძოს საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის განხორციელება. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება სრული შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით ვერ დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში ასახულია მხოლოს საკანცელარიო ხარჯი 10 000 ლარის ოდენობით, რომელიც გამოიყენება ცენრტში შემავალი ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის, სხვა ხარჯი, რომელიც საგანმანათლებლო რესურსების შესაძენად (მაგ: სათამაშოების, განმავითარებელი რესურსი, საგანმანათლებლო მასალები და სხვა) არის საჭირო, არ არის განსაზღვრული.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორის მოთხოვნასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ინდიკატორის აღწერაში მითითებული თნხა 10 000 ლარი მიემართება მხოლოდ, ცენტრში შემავალი სამი საავტორიზაციო ბაღის რესურსებით უზრუნველყოფისთვის, ასევე წარმოადგინა ინვოისები მომწოდებელი ორგანიზაციიდან საგანმანათლებლო რესურსის შესყიდვასთან დაკავშირებით. დაწესებულება ასევე მეორადი და ბუნებრივი მასალისგან ქმნის/შექმნის სხვადასხვა სახის რესურსს. დაწესებულება სრულად იზიარებს ინდიკატორის მოთხოვნებს და არ შექმნის საგანმანათლებლო რესურსის დეფიციტს. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება სრული შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და ცენრის დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს 2025 წლის N127 ბრძანებით ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგისა და ა.შ) მექანიზმები. სადაც მუხლი 2 -ით ფინანსების მართვის მექანიზმის ძირითადი პრინციპებია:
ა) ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა ცენრტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიული მიზნების შესაბამისად;
ბ)ბიუჯეტის დაგეგმვის, შემუშავების, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების პროცესში კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა;
გ) ცენტრის ფინანსური რესურსის გონივრულად და ეფექტიანად განაწილება ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიწოდების უზრუნველსაყოფად.:
დ) ცენტრის ფინანსების დაგეგმვის, მართვის, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების შესრულების პროცესში დაინტერესებული მხარეთა შესაბამისი ფორმით ჩართულობის უზრუნველყოფა და მოსაზრებების გათვალისწინება.

ასევე მუხლი 6-ით ცენტრის ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება სადაც მესამე პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის დირექტორის 2025 წლის N127 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის მონიტორინგის და ა.შ) მექანიზმები."
2. ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელი დაწესებულების ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტი

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება | |
|---|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი | |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | |
| **დანართის N** | **2. სხვა დანართის დასახელება** |
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

<u>**თარიღი**</u> 20.11.2025 წელი

| ხელმომწერი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარე**<br>*ხარისხის ექსპერტი* | ნინო ბენდელიანი |  |
| | |  |
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები**<br>*კურიკულუმის ექსპერტი:* | ლელა ბექაური | |
| *კვების დარგში ექსპერტი:* | მირანდა გორგილაძე |  |
| *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი* | მარინე ზარანდია |  |

დანართი №1

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ.- 'მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ბანძის საბავშვო ბაღი | ბრძანება MES 6 25 0001006142 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბანძა<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 25-26 სექტემბერი |

**კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | 1.1. ა(ა) იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორის 2025 წლის19 ივნისის ბრძანება N 45 "ბავშვთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი" -ს დამტკიცების შესახებ<br>2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>3.დაწესებულების შენობა-ნაგებობის სქემა (2023 წელი)<br>4.დაწესებულების მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთნ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებისმოთხოვნების შესაბამისობასთან დაკავშირებით. (წერილი 2025 წლის 13 მაისი N116)<br>6. მარტვილის მუნიციპალიტეტის, ბანძის საბავშვო ბაღის ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესახებ შევსებული ფორმა.<br>7. ვიზუალური დათვალიერება 8. შესაბამისობის გეგმა |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შენობა-ნაგებობის სქემა. დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია აქტივობები შენობის ტექნიკურად მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის ბიუროდანდასკვნის გაცემის შესახებ. ასევე აქვს წერილობითი მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნასთნ შესაბამისობის შესახებ. ინდიკატორის მოთხოვნა ნმეტწილად დაკმაყოფილებულია | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი აქტივობების და კონკრეტული ქმედებები, რომელიც მიემართება აღნიშნული საკითხის გამოსწორებისკენ , რომელიც გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში 20.07.2025 წლიდან 20.07.2026 წლამდე პეიოდში. | | დაწესებულებს წარმოდგენილი ჰქონდა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის 12 თვიანი გეგმა, 20.07.2025 წლიდან 20.07.2026 წლამდე პერიოდში და ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად იყო დაკმაყოფილებული, ხოლო დაწესებულებამ განმეორებით, არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებით განმეორებით წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ისევ 12 თვის განმავლობაში კერძოდ 06.11.2025 წლიდან 06.11.2026 წლამდე პერიოდში დაგეგმილი აქტივობების და კონკრეტული ქმედებების განხორციელების შესახებ. ვინაიდან , ექსპერტის შეფასება იყო მეწტილად შესაბამისი და განმეორებით წარმოდგენის შემდეგ არ შეცვლილა 12 თვიანი პერიოდი, ამ შემთხვევაში ექსპერტის შეფასება არ იცვლება და რჩება იგივე, კერძოდ **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.** |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| **2.1.** | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.2.** | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.3.** | **დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფრი ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ჯგუფური ოთახ(ებ)ი უზუნველყოფილია კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცე, დაწესებულებაში 2-3 წლიანი და 3-4 წლიანი ჯგუფები განთავსებულია პირველ სართულზე, რომელსაც აქვს მომიჯნავედ საძინებელი ოთახები, ხოლო 4-5 წლიანი და მზაობის ჯგუფი განთვსებულია ბაღის მეორე სართულზე. ყველა ჯგუფურ ოთხს აქვს გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად, არის სანიტარული კვანძები ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, დაწესებულებას აქვს ადმინისტრაციული სამყოფები და ასევე დარბაზი სენსო მოტორული აქტივობებისთვის. დაწესებულებას აქვს სამედიცინო სივრცე, კვების ბლოკი და სამეურნეო ზონა. დაწესებულებაში არის პანდუსი და ლიფტი შშმ პირებისთვს, დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სიტემით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**. | | | |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე და არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა ყოველ 20 ბავშვე. დაწესებულებაში არის საბავშვო ზომის 24 ხელსაბანი და საბავშვო ზომის 24 უნიტზი. დაწსებულებაში მოქმედ სანიტარულ კვანძში პრივატულობის დაცვის მიზნით არის მოწყობილი ტუალეტის კაბინები, რომლის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით. დაწესებულებაში განთავსებული ადაპტირებული სანიტარული კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის და ზრდასრული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ადაპტირებული კვანძი ბავშვებისთვის და 1 შშმ პერსონალისთვის. ასევე არის 3 სველი წერტილი პერსონალისთვის. საწესებულების სანიტარული კვანძები და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული საძინებლი ოთახის ფანჯრების ქვეშ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი**) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას აქვს 5978 კვ.მ. ეზო. დაწესებულების გარე სივრცე /ეზოს არსებული ღობის სიმაღლე არის ერთი სიმაღლის და არის 1.90 მ სიმაღლის და ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0.1მ-ს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** | | | |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასრიალო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების ეზოში არის ყვეელა სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცე, რომელიც სავალდებულოა, მაგალითად არის მზისგან და წვიმისგან დამცავი საშუალებები საჩრდილობლები, სასრიალოები, საქანელები, საქვიშეები, სათამაშო სახლი, სკამები და მაგიდები, სივრცე მოწყობილი დრამატული თამაშებისთვის, საცოცი./ასაძრომი გასაძრომი კონსტრუქციები, ბალანსის აღჭურვილობა, სივრცე სენსორული განვითარებისთის. მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამაგრებულია მყარად და არ არსებობს ტრამვის საფრთხე. თავშეყრის ადგილებში გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, ეზოში არის განათების წყარო, რომელიც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ფანჯრის რაფის სიმაღლე 1.110 სმ-ის სიმაღლისაა. დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, არ არის მოწყობილი კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას, დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს აქტივობა ორი წლის განმავლობაში , რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, ასევე არ არის ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული** | დაწესებულებამ უზრუნვეყოს (20.07.2025 წლიდან-20.07.2027 წლამდე) 2 წლის ვადაში, შესაბამისი აქტივობის განხორციელება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ, ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, უნდა იყოს კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკა უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას. ასევე დაწესებულებაში იმ ფანჯრებზე, სადაც, მოწყობილი იქნება დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე უნდა იყოს განთავსებული ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 12 თვის განმავლობაში კერძოდ 06.11.2025 წლიდან 06.11.2026 წლამდე პერიოდში დაგეგმილი აქტივობების და კონკრეტული ქმედებების განხორციელების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება საკითხის გამოსწორებისკენ.<br>აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.** |
| უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაში. კიბის უჯრედის სიმაღლე ბავშვებისთვის არის 43 სმ, ხოლო უფროსებისთვის 84 სმ-ია.სიგანე ვერტიკალურ დგარებს შორის 10 სმ-ია. კიბის უჯრედს არ მოყვება კედლის მხრიდან უწყვეტი სახელური ბავშვის სიმაღლეზე, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია აქტივობები ერთი წლის განმავლობაში, რომელიც მიემართება აღნიშნული საკითხების გამოსწორებისკენ **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული** | დაწესებულებამ უზრუნვეყოს დადგენილ ვადაში შესაბამისი აქტივობების განხორციელება, რომელიც, მიემართება საკითხების გამოსწორებისკენ. კერძოდ კიბეს ორივე მხრიდან უნდა მიყვებოდეს მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | | |
| თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს არ აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი, დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის 1 წლიანი გეგმა , რომელიც მიემართება აღნიშნული საკითხის გამოსწორებისკენ. დაწესებულებაში კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებული არ არის და არც შესაბამისობის გეგმაშია გაწერილი სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე, **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია** | დაწესებულებამ უზრუნვეყოს დადგენილ ვადაში შესაბამისი აქტივობების განხორციელება, რომელიც, მიემართება საკითხების გამოსწორებისკენ, კერძოდ დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს უნდა ჰქონდეს 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი და ასევე დაწესებულებამ უზრუნველყოს კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებული იყოს სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე, | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 12 თვის განმავლობაში კერძოდ 06.11.2025 წლიდან 06.11.2026 წლამდე პერიოდში დაგეგმილი აქტივობების და კონკრეტული ქმედებების განხორციელების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება საკითხის გამოსწორებისკენ. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.** |
| კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე, შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის, ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა არ შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას , მაგრამ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია** | დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი აქტივობების და კონკრეტული ქმედებები, რომელიც მიემართება აღნიშნული საკითხის გამოსწორებისკენ , რომელიც გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში 20.07.2025 წლიდან 25.11.2025 წლამდე პეიოდში. | | |
| ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრვი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში სკამებისა და მაგიდების ზომები შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნასთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** | | | |
| 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულება უზრუნველყოფილია ერთსართულიანი საწოლებით, რომლის სიგრძე 140 სმ-ია, ხოლო სიგანე 60 სმ. ხოლო 2-3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის საწოლები დაწესებულებას არ აქვს შეძენილი, მაგრამ დაწესებულებს აქვს გაწერილი შესაბამისობის 4 თვიანი გეგმა 25.07.2025 წლიდან 25.11.2025 წლამდე პერიოდში დაგეგმილი აქტივობები, რომელიც მიემართება აღნიშნული საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ საწოლების შესყიდვას. ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე, დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე არ არის გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული** | დაწესებულებამ უზრუნველყოს დადგენილ ვადაში შესაბამისი აქტივობების განხორციელება, რომელიც, მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, კერძოდ მოახდინოს შესაბამისი ინვენტარის კერძოდ საწოლების შესყიდვა 2-3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის.დაწესებულებაში სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებული უნდა იყოს საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით, | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, 12 თვის განმავლობაში კერძოდ 06.11.2025 წლიდან 06.11.2026 წლამდე პერიოდში დაგეგმილი აქტივობების და კონკრეტული ქმედებების განხორციელების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება საკითხის გამოსწორებისკენ. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.** |
| 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი<br>ეზოს/გარე სივრცის ფართი<br>აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა<br>საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა<br>საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა<br>საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა<br>საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა<br>გასახდელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა) იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის"-ს დორექტორის მიერ 2025 წლის 19 ივნისის N115 ბრძანებით, დანართი 1 -თ სადაც განსაზღვრულია ბავშვთა ზღვრული რაოდენობა. დაწესებულებას მეთოდოლოგიით დანსაზღვრული აქვს დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურის მოწყობის პარამეტრები, ასევე დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები სადაც განსაზღვრულია ყველა ის მოთხოვნა , რომელიც ითვალისწინებს კანონით დადგენილ ნორმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** | | | |
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა(ა) იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის"-ს დორექტორის მიერ 2025 წლის 19 ივნისის N115 ბრძანებით, დანართი 1 -თ სადაც განსაზღვრულია ბავშვთა ზღვრული რაოდენობა. დაწესებულებას აქვს ოთხი ჯგუფური ოთახი, გარე სივრცის ფართობა 5978 კვ.მ ხელსაბანების რაოდენობა 24; უნიტაზების რაოდენობა 24; საბავშვო ზომის სკამები 63 და მაგიდები 20 ჯამში, ორ ჯგუფურ ოთახს აქვს საძინებელი, საწოლების რაოდენობა სულ ჯამში 20 . გასახდელი სივრცე 4, 2 აღჭურვილის კარადებით, ხოლო 2 ცარიელია. დაწესებულებაში განსაზღვრულია 4 ასაკობრივი ჯგუფი და არ ჰყავს შესაბამისო რაოდენობის საგანმანათლებლო პერსონალი, მაგრამ გაწერილი აქვს 2 თვიანი შესამაბისობის გეგმა, რომელიც მიემართება აღნიშნული საკითხი გამოსწოფრებისკენ. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის მიხედვით ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა, რომელიც შეადგენს 115 ბავშვს,სადაც ფინანსური რესურსი, რომელიც წარმოდგენილი აქვს 2025 წლის ბიუჯეტში არ არის საკმარისი საგანმანათლებლო რესურსის შესაძენად, ბიუჯეტში მხოლოდ წარმოდგენილია საკანცელარიო ხარჯი გაერთიანებაში შემავალი ყველა ბაღისთვის. ხოლო მატერიალური რესურსი, კერძოდ ავეჯი არ აკმაყოფილებს წარმოდგენილ რაოდენობას, თუმცა დაწესებულებას ბიუჯეტში განსაზღვრული აქვს ავეჯის შესყიდვისთვის საჭირო თანხა. დაწესებლებას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმა 25.07,2025წლიდან 25.11.2025 წლის ჩთვლით 4 თვის განმავლობაში აღნიშნული პრობლემის მოგვარების შესახებ, სადაც გაწერილია შესაბმისი აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებისკენ, **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული** | | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორის მოთხოვნასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ინდიკატორის აღწერაში მითითებული თნხა 10 000 ლარი მიემართება მხოლოდ, ცენტრში შემავალი სამი საავტორიზაციო ბაღის რესურსებით უზრუნველყოფისთვის, ასევე წარმოადგინა დანართი N2-ის სახით 09.11.2025 წლით დათარიღებული ინვოისები მრავალფეროვანი რესურსების ჩამონათვალით, მომწოდებელი ორგანიზაციიდან, საგანმანათლებლო რესურსის შესყიდვასთან დაკავშირებით. ასევე დაწესებულება მეორადი და ბუნებრივი მასალისგან ქმნის/შექმნის სხვადასვა სახის რესურსს. დაწესებულება სრულად იზიარებს ინდიკატორის მოთხოვნებს და არ შექმნის საგანმანათლებლო რესურსის დეფიციტს. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება სრული შესაბამისობით და **ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია, ასევე ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება პროგრამაზე მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას** |

თარიღი 20.11.2025წელი

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

ხარისხის ექსპერტის ხელმოწერა



**4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი** დანართი №2

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა.(ა).ი.პ.- „მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ბანძის საბავშვო ბაღი | ბრძანების N: 2025 წლის 20 აგვისტოს №MES 6 25 0001006142 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბანძა<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: *25/09/2025* |

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | 1. მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა ცენტრის<br>2025 წლის 20 ივნისის №118 ბრძანება<br>„ქვების ბაღების კვების სტანდარტული ოპერაციული პროგრამის (SOP) დამტკიცებისა და შესრულების უზრუნველყოფის შესახებ;<br>2. მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა ცენტრის 2025 წლის 27 ივნისის №125 ბრძანება — „კვების ორგანიზების და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შეფასების მიზნით, მარეგულირებელი ჯგუფის შექმნის შესახებ“<br>3. მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა ცენტრის 2025 წლის 27 ივნისის №123 ბრძანება — „2-კვირიანი (10 დღიანი) ზამთრის და ზაფხულის სეზონური მენიუს დამტკიცების შესახებ“<br>4. მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა ცენტრის 2025 წლის 27 ივნისის №124 ბრძანება — „შემშვებელ მენიუ-ფაქტურის დამტკიცების შესახებ“<br>5. მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა ცენტრის 2025 წლის 27 ივნისის №126 ბრძანება — „კვების ორგანიზების შემფასებელი კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“<br>6. ზამთარი-გაზაფხულის მენიუ - I და II კვირა;<br>7. ზამთარი-გაზაფხულის მენიუს ენერგეტიკული ღირებულებისა და ნუტრიენტების შემცველობის ცხრილი;<br>8.  ზამთარი-გაზაფხულის მენიუს კარტოთეკა<br>9. ზამთარი-გაზაფხულის მენიუ-ფაქტურა;<br>10. ზამთარი-გაზაფხულის მენიუ-ფაქტურა<br>11. დამატებითი შენიშვნები და რეკომენდაციები მენიუსთვის;<br>12. დანართი N14 - კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი მექანიზმი;<br>13. სოპი 1 -  ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობისა და დიეტური საჭიროებების მქონე ბავშვის კვების ორგანიზების სტანდარტული საოპერაციო პროცედურა;<br>14. სოპი 2 - საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები - სტანდარტული საოპერაციო პროცედურა<br>15. სოპი 3 -  საკვები პროდუქტებისა და კერძების ხარისხის კონტროლის სტანდარტული საოპერაციო პროცედურა |
| სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა | |
| | | √ | | | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი | |
| | √ | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრს ბანძას საბავშვო ბაღისთვის შერჩეული აქვს სტაციონარული კვებითი უზრუნველყოფის ფორმა, რომლის მიხედვითაც ბავშვების კვება ორგანიზებულია უშუალოდ ბაღის ტერიტორიაზე არსებულ სამზარეულოში. მენიუში განსაზღვრული კერძები მზადდება ადგილზე და მიეწოდება აღსაზრდელებს ყოველდღიურად.<br>წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია, რომ ა(ა)იპ ცენტრს გააჩნია დეტალურად ჩამოყალიბებული კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რაც ასახულია როგორც მარეგულირებელ წესში, ასევე თანდართულ სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებში (SOP).<br>დოკუმენტებში განსაზღვრულია ბავშვის კვებითი მდგომარეობის შესახებ ინდივიდუალური ინფორმაციის შეგროვების ფორმატი, რომელშიც მონაწილეობს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი. ინფორმაცია ფორმდება შესაბამისი წერილობითი განაცხადის საფუძველზე. ასევე დამუშავებულია მშობლის მიერ საკვების მიწოდების პირობები და უსაფრთხოების პროტოკოლები, რომლებიც ითვალისწინებს შენახვისა და გაცემის წესებს, სამზარეულოს პერსონალის ინფორმირებასა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.<br>SOP დოკუმენტებში აღწერილია ალერგენების იდენტიფიცირების, ეტიკეტირების წაკითხვისა და ინდივიდუალურად მომზადებული კერძების მიწოდების წესები, რაც უზრუნველყოფს ჯვარედინი დაბინძურების თავიდან აცილებას.<br>დადგენილია გადაუდებელი შემთხვევების მართვის პროცედურები, მათ შორის ანაფილაქსიური ან სხვა მწვავე ალერგიული რეაქციის დროს ქმედების თანმიმდევრობა, რაც მოიცავს პერსონალის შესაბამის გადამზადებასა და რეაგირების გეგმას.<br>შეფასებით დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია საკვები პროდუქტებისა და მზა კერძების ხარისხის კონტროლის მექანიზმი. შესაბამის SOP დოკუმენტებში გაწერილია ორგანოლეპტიკური შეფასების მეთოდები, პროდუქტის მიღების ეტაპზე ვიზუალური და სენსორული შემოწმების პროცედურები, დეგუსტაციის პრაქტიკა და ამ პროცესში მონაწილე პერსონალის პასუხისმგებლობები.<br>განსაზღვრულია როგორც მზარეულის, ისე ადმინისტრაციული პერსონალის როლი ხარისხის პირველადი კონტროლის ეტაპებზე. დოკუმენტაციაში მითითებულია ჩანაწერების წარმოების ფორმატი და მონიტორინგის პერიოდულობა, რაც განამტკიცებს ხარისხის კონტროლის სისტემის ფუნქციურობას.<br>SOP დოკუმენტაციაში სრულად ასახულია სურსათის უსაფრთხო დამუშავების, მომზადებისა და სერვირების ეტაპები, მათ შორის გადაცდენის მაღალი რისკის მქონე პროდუქტების მართვის მექანიზმები, პასუხისმგებლობების განაწილება, გადაუდებელი ქმედებების გეგმა, მონიტორინგისა და კორექციის მეთოდები, აგრეთვე კვებითი ღირებულებების შენარჩუნების წესები.<br>ა(ა)იპ ცენტრის დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულია მარეგულირებელი დოკუმენტები და დანართები (№118, №123, №124, №125, №126), რომელთა თანახმად დადგენილია კვების პროცედურები და პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის ცხრილები. აღნიშნული ცხრილები თანდართულია როგორც მენიუს კარტოთეკაში, ასევე მენიუ-ფაქტურებში და გამოიყენება ყოველი კერძის კალორიულობისა და კვებითი მაჩვენებლების გაანგარიშებისას.<br>დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10-დღიანი ზამთარ–გაზაფხულის მენიუ, რომელიც მოიცავს პროდუქტების ენერგეტიკულ და ქიმიურ შემადგენლობას (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები). აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შედგენილია კერძების საინფორმაციო ბარათები (კარტოთეკა).<br>შემოდგომა–ზაფხულის მენიუს ელექტრონული ვერსია დოკუმენტურად არ იყო წარმოდგენილი, თუმცა ვიზიტისას ექსპერტებს დაწესებულებამ წარმოუდგინა ნაბეჭდი ფორმატი, რომლის საფუძველზეც დადასტურდა, რომ მენიუ შემუშავებულია ზამთარ–გაზაფხულის ციკლური მენიუს იმავე პრინციპებით — დაცულია სეზონურობის, კვებითი ბალანსისა და ასაკობრივი შესაბამისობის პრინციპები.<br>შეფასებით დგინდება, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის 4.4 კომპონენტის მოთხოვნებს — კერძების კარტოთეკის სტრუქტურისა და კვების პროცესის ორგანიზების თვალსაზრისით.<br>დოკუმენტაცია გამჭვირვალეა, სტრუქტურირებული და სრულად ეფუძნება დადგენილ სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს ბავშვთა უსაფრთხო, მრავალფეროვან და სრულფასოვან კვებას. | | **რჩევა**<br>1.სასურველია დამატებით შეფასდეს კვებითი აუტანლობის მართვის პროცედურების შესრულების ფაქტობრივი პრაქტიკა და რეგულარული განახლება.<br>2. სასურველია, რომ კვების, ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით პასუხისმგებელმა სპეციალისტმა რეგულარულად განაახლოს თავისი კვალიფიკაცია პროფესიული განვითარების ტრენინგ კურსების მეშვეობით. ეს ხელს შეუწყობს მოქმედ სტანდარტებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის გაძლიერებას, თანამედროვე მიდგომებისა და პრაქტიკების ეფექტურად დანერგვას ბავშვთა კვებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. | |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე  სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას  დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ თითოეული ჯგუფისთვის კვების მიწოდება ყოველდღიურად ხდება ერთსა და იმავე დროს, რაც უზრუნველყოფს ბავშვების ფიზიოლოგიური რეჟიმის დაცვას და ჯანმრთელი კვების ჩვევების ჩამოყალიბებას. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია დღის განრიგით და კვების ორგანიზების მარეგულირებელი წესით, რომელიც განსაზღვრავს კვების პერიოდულობას, დროის ინტერვალებსა და პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებებს.<br>სააღმზრდელო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, დაწესებულებაში ბავშვების კვება უზრუნველყოფილია ოთხჯერადად — ორი ძირითადი კვება და ორი წახემსება. აღნიშნული სქემა სრულად შეესაბამება მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტს, რომელიც განსაზღვრავს კვების ჯერადობას 9 საათამდე დასწრების ხანგრძლივობის პირობებში. აღნიშნული დასტურდება მენიუ-ფაქტურებით, სადაც დეტალურადაა ასახული საუზმე, დილის წახემსება, სადილი და სამხარი.<br>მენიუ შედგენილია ისე, რომ დღის ენერგეტიკული ღირებულება ნაწილდება რეკომენდებული პროპორციებით — საუზმე შეადგენს დაახლოებით 20%-ს, წახემსება 10%-ს, სადილი 30%-ს, ხოლო სამხარი 15%-ს. ენერგეტიკული მაჩვენებლები გამოთვლილია ნუტრიენტული და ენერგეტიკული ღირებულებების ცხრილის საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია დანართებში წარმოდგენილი მონაცემებით.<br>სეზონურობის პრინციპი დაცულია სრულად. ცენტრს დამტკიცებული აქვს ზამთარ–გაზაფხულის მენიუ, ხოლო შემოდგომა–ზაფხულის მენიუს ნაბეჭდი ფორმა წარმოდგენილი იყო ადგილზე. მენიუში გამოყენებულია სეზონის შესაბამისი პროდუქტები — ადგილობრივი ბოსტნეული, ხილი და ბუნებრივი სასმელები, რაც ასახულია როგორც მენიუს კარტოთეკაში, ისე SOP დოკუმენტებში.<br>კერძების მრავალფეროვნება და მათი არამეორებადობა უზრუნველყოფილია ციკლური მენიუს სტრუქტურით, რომლის მიხედვითაც ერთი და იგივე კერძი არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით. მენიუს კომპოზიციაში გათვალისწინებულია როგორც ცხოველური, ისე მცენარეული წარმოშობის პროდუქტების თანაბარი ჩართვა, რაც ხელს უწყობს კვებითი ბალანსის დაცვას და გემოვნების მრავალფეროვნების განვითარებას.<br>საუზმე მოიცავს მარცვლოვან პროდუქტს, რძის ნაწარმს და სასმელს — რძეს, ჩაის ან კაკაოს. ზოგიერთ შემთხვევაში ხილი გადატანილია დილის წახემსებაზე, რაც დაშვებულია მოქმედი რეგლამენტის ფარგლებში. სადილი შედგება ოთხი ან ხუთი კომპონენტისგან და მოიცავს პურს, წყალს, პირველ კერძს, ძირითად კერძს, გარნირსა და დესერტს. თითოეული კომპონენტი წარმოდგენილია შესაბამისი რაოდენობითა და ენერგეტიკული მაჩვენებლით.<br>წახემსების ბლოკში გათვალისწინებულია რძის ნაწარმი, ხილი და ბურღულეული დაბალი შაქრის შემცველობით. დესერტებში გამოყენებულია მხოლოდ ბუნებრივი ინგრედიენტები, ხოლო შაქრის ოდენობა რეგულირებულია ტექნიკური რეგლამენტის ნორმების შესაბამისად. სასმელად გამოიყენება მხოლოდ წყალი, 100%-იანი ხილის წვენი და დაბალი ცხიმიანობის რძე. SOP დოკუმენტებში მკაფიოდ აღწერილია სასმელის მომზადებისა და გაცემის პროცედურები, ჭურჭლის დამუშავების წესები და ტემპერატურის კონტროლის რეჟიმი, რაც უზრუნველყოფს პროდუქტის უსაფრთხოებასა და სისუფთავეს.<br>დასკვნით დგინდება, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია — მარეგულირებელი წესი, SOP-ები, დანართები №118–126, ზამთარ–გაზაფხულის მენიუ, მენიუ-ფაქტურა და ენერგეტიკული ცხრილები — სრულად აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის 4.4 კომპონენტის მოთხოვნებს.<br>დოკუმენტაცია არის გამჭვირვალე, სტრუქტურირებული და ეფუძნება დადგენილ სახელმწიფო სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს ბავშვთა უსაფრთხო, მრავალფეროვან და დაბალანსებულ კვებას.<br>საერთო შეფასებით, დაწესებულების კვების ორგანიზების მექანიზმი არის გამართული, დოკუმენტაცია კი შესაბამისი, ხოლო კვების პროცესი უზრუნველყოფს ბავშვთა ჯანმრთელი განვითარებისათვის საჭირო ყველა პირობის დაცვას. | | | |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br><br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br><br>საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15%<br>ვახშამი ≈15%<br>საღამოს წახემსება ≈10% | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სადილი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: 4 ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წახემსება დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელად გამოიყენება წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) და სხვა. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა შესაბამისია შემდეგ მოთხოვნებთან (მონაცემები გამოტანილია 9 საათიანი მომსახურების შემთხვევაში, უფრო მეტი/ნაკლები დროით ბავშვის დაწესებულებაში დაყოვნების შემთხვევაში, ექსპერტმა კვების ჯერადობისა და გადანაწილების მიხედვით უნდა გამოიანგარიშოს შესაბამისი პროპორციული მოთხოვნები, ასახოს კითხვარის მე-3 სექციაში და შესაბამისად შეაფასოს) | | | | | | | | |
| | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზამთარი–გაზაფხულისა და შემოდგომა–ზაფხულის მენიუს ძირითადი საკვები პროდუქტების ჯგუფების ცხრილები, მენიუ-ფაქტურები და ენერგეტიკული ღირებულების გაანგარიშების ცხრილები შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გაანგარიშებების მიხედვით, მენიუს საშუალო ენერგეტიკული ღირებულება შეადგენს 1292.6 კილოკალორიას, რაც სრულად შეესაბამება კვებით ნორმებში განსაზღვრულ მითითებულ მაჩვენებელს – 1292 კილოკალორიას დღიურად.<br>მნიშვნელოვანია, რომ დაშვებული ცვალებადობის ზღვარი ±10 კკალ-ის ფარგლებში სრულად დაცულია, რაც მიუთითებს მენიუს სტაბილურობას, შესაბამისობას და ბავშვის ასაკობრივი მოთხოვნების დაბალანსებულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას.<br>მაკრონუტრიენტების განაწილების ანალიზმა აჩვენა შემდეგი შედეგები: ცილები – საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 50.37 გრამს, რაც სრულად შეესაბამება კვებითი რაციონის მოთხოვნებს; ცხიმები – საშუალო დღიური მაჩვენებელია 49.57 გრამი, რაც რჩება დაშვებული ±5 გრამის ცვალებადობის ფარგლებში და ადასტურებს კომპონენტის სტაბილურობას; ნახშირწყლები – საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 160.82 გრამს, რაც ასევე ემთხვევა მოთხოვნილ დიაპაზონს და უზრუნველყოფს ენერგიის წყაროს სწორი პროპორციით მიწოდებას. აღნიშნული ანალიზი ადასტურებს, რომ მენიუს სტრუქტურა ენერგეტიკული და კვებითი თვალსაზრისით გამართულია.<br>დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურებში გათვალისწინებულია ბავშვის ასაკობრივი ჯგუფისთვის აუცილებელი საკვები პროდუქტების ძირითადი ჯგუფები. თითოეული ბავშვის რაციონში გათვალისწინებულია პური, მარცვლეული, ბურღული, ხორცი, თევზი, რძე და რძის პროდუქტები, მცენარეული ზეთი და ნაღების კარაქი, რაც სრულად ფარავს კვებითი მრავალფეროვნების მოთხოვნებს და შეესაბამება ჯანმრთელი, დაბალანსებული კვების დაგეგმარების პრინციპებს. დაცულია ცილა–ცხიმ–ნახშირწყლების პროპორციული თანაფარდობა, გათვალისწინებულია სეზონურობის პრინციპი და პროდუქტის წარმომავლობა (სეზონისთვის დამახასიათებელი ხილი, ბოსტნეული, ცხიმები).<br>უზრუნველყოფილია კალორიულობის ერთგვაროვნება 10-დღიან კვების ციკლში და დაცულია კვების რაოდენობრივი ნორმები თითოეულ ბავშვზე, საკვები ჯგუფების მიხედვით.<br>ცხრილებში ასახულია ყველა ძირითადი საკვები ჯგუფის რაოდენობრივი ბალანსი და ენერგეტიკული განაწილება, რაც სრულად უზრუნველყოფს ბავშვის ასაკობრივი ნორმების დაკმაყოფილებას. აღნიშნული დოკუმენტაცია დაანგარიშებით ადასტურებს, რომ დაწესებულების კვების სისტემა ეფუძნება ჯანსაღი და დაბალანსებული კვების პრინციპებს, ენერგეტიკული ღირებულებისა და კვებითი სისწორის სტანდარტების სრული გათვალისწინებით. მონაცემების თანმიმდევრული აღრიცხვა და ცხრილების სეზონური განაწილება აყალიბებს მკაფიო მტკიცებულებას, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს კვების პროცესის მდგრად ორგანიზებას მთელი წლის განმავლობაში. | | **რჩევა:** მიზანშეწონილია მენიუსა და საკვები პროდუქტების განაწილების ცხრილები პერიოდულად გადაიხედოს, რათა შენარჩუნდეს მათი შესაბამისობა რეგლამენტთან და ბავშვის ასაკობრივი კვების მოთხოვნებთან. | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ); | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეული ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | პური ≈1000გ<br>მარცვლეული და ბურღულეული ≈300გ<br>საკონდიტრო ნაწარმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ აღემატება 40გ-ს. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | ხილი ≈1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ)<br>ბოსტნეული ≈1800გ<br>კარტოფილი ≈1200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4870 მლ. რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | რძე დასალევად ≈1500 მლ.<br>რძე და რძის პროდუქტი ≈3370 მლ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | საქონლის რბილი ხორცი 440გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ქათმის ფილე 200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თევზის ფილე 200გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 220გ ცხიმი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | მცენარეული ზეთი 100გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნაღების კარაქი 120გ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 4 | **აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობა ბავშვთა კვებისთვის შემუშავებულ მენიუში** | | | | | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით კერძებში მარილის გამოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 3 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზამთარი–გაზაფხულისა და შემოდგომა–ზაფხულის 10-დღიანი მენიუ-ფაქტურები. შეფასება ეფუძნება თითოეული დღის რაციონის შინაარსს, პროდუქტების ტიპებსა და გამოყენებული ინგრედიენტების შედგენილობას.<br>მიღებული მონაცემების მიხედვით, კვების რაციონი დაგეგმილია უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტების სრული დაცვით. მენიუში არ იკვეთება ისეთი პროდუქტები, რომელთა გამოყენება შეზღუდულია ან აკრძალულია ბავშვთა კვებაში. კერძოდ:<br>• არ ფიქსირდება კოფეინის შემცველი პროდუქტები, მათ შორის ყავა და შავი ჩაი;<br>• არ არის გამოყენებული ტკბილი, გაზიანი, აღდგენილი ან ენერგეტიკული სასმელები;<br>• არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური ან დიეტური პროდუქტები;<br>• არ იძენება გარეული ფრინველის ხორცი, იხვისა და ბატის კვერცხი;<br>• არ ფიქსირდება სოკო (კულტივირებული ან არაკულტივირებული);<br>• არ შეინიშნება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი.<br>ასევე აღსანიშნავია, რომ არ ჩანს კვების რაციონში აკრძალული საკვები დანამატები, მათ შორის: ნატრიუმის ბენზოატი (E211), ტარტრაზინი (E102), ქინოლინისებრი ყვითელი (E104), ყვითელი „მზის ჩასვლა“ (E110), კარმუაზინი (E122), პონსო ალისფერი 4R (E124) და წითელი ალურა AC (E129).<br>ლიმიტირებული ინგრედიენტების — კერძოდ, მარილისა და თავისუფალი შაქრის — გამოყენება, როგორც მოსალოდნელია ბავშვთა კვების სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად, წარმოდგენილია ზომიერად. კერძების ტექნოლოგიური შინაარსიდან და დამუშავების მეთოდებიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნა, რომ მათი დღიური დოზები არ აღემატება დასაშვებ ზღვარს. | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით თავისუფალი შაქრის მოხმარების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 25 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კოფეინის შემცველ პროდუქტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ყავა და შავი ჩაი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ტკბილი და გაზიანი სასმელები (მათ შორის ხილის სასმელების, გაზიანი/უალკოჰოლო სასმელების, აღდგენილი სასმელების (გარდა რძისა), ენერგეტიკული სასმელების) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები (მაგ: ქოლესტეროლის დამწევი ან უჯრედისის მაღალი შემცველობის სურსათი და სხვ.) გარდა იმ შემთხვევისა თუ სპეციალურ საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის მიერ წარმოდგენილია სპეციალისტის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მენიუ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება გარეული ფრინველის ხორცი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება იხვისა და ბატის კვერცხი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კულტივირებული თუ არაკულტივირებული სოკო | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუშიი არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი (გარდა იმ შემთხვევისა თუ კვებითი აუტანლობის მექანიზმში გაწერილია მსგავსი პროცედურა) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება შემდეგი საკვებდანამატები:<br>ნატრიუმის ბენზოატი (E211)- კონსერვანტი<br>ტარტრაზინი(E102) - საღებავი<br>ქინოლინისებრი ყვითელი (E104) - საღებავი<br>ყვითელი "მზის ჩასვლა" (E110) - საღებავი<br>კარმუაზინი (E122) - საღებავი<br>პონსო ალისფერი 4R (E124) - საღებავი<br>წითელი ალურა AC (E129) - საღებავი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **5** | **კვების მიწოდება და უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას, ბავშვთა მაქსიმალური ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი.<br>აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობის დადგენის მიზნით შეფასდა დაწესებულების მიერ შემუშავებული მენიუ და კვების ორგანიზების მექანიზმი. პარალელურად, შეფასება შეეხო უშუალოდ კვების პროცესზე მეთვალყურეობის სისტემას, პერსონალის ფუნქციურ ჩართულობასა და შიდა რეგულაციების იმპლემენტაციის ხარისხს.<br>დადგინდა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის ბაღებში ბავშვების კვების პროცესი მიმდინარეობს ორგანიზებულად და გამჭვირვალედ, სასწავლო დღის განრიგის შესაბამისად. კვების პროცესის მონიტორინგში სისტემურად მონაწილეობს როგორც საგანმანათლებლო პერსონალი (აღმზრდელები), ასევე ჯგუფის დამხმარე პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან თითოეულ ჯგუფში საკვების მიღების, დარიგებისა და მოხმარების პროცესის უსაფრთხოებაზე.<br>დოკუმენტაციაში ასახულია, რომ დაწესებულებაში მოქმედებს შესაბამისი ინსტრუქციები და SOP დოკუმენტები — მათ შორის:<br>• SOP "პროდუქტებისა და მზა კერძების ხარისხის კონტროლი" – განსაზღვრავს მზარეულის, აღმზრდელისა და დამხმარე პერსონალის პასუხისმგებლობებს საკვების მიღების, ვიზუალური შემოწმებისა და დეგუსტაციის ეტაპზე;<br>• SOP "უსაფრთხო დამუშავება და გადაცდენის მართვა" – აღწერს იმ შემთხვევებს, როდესაც აღმზრდელმა ან დამხმარემ უნდა მოახდინოს რეაგირება პროდუქტის სენსორული ცვლილების ან ბავშვების უკმაყოფილებისას;<br>• დირექტორის ბრძანება №125 – ადგენს კვების ორგანიზებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების წესს.<br>კვების პროცესის მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად:<br>• ჯგუფის დამხმარე პასუხისმგებელია საკვების მიღება-გაცემისას სისუფთავეზე და ბავშვისთვის შესაბამისი ულუფის მიწოდებაზე;<br>• აღმზრდელი აკვირდება ბავშვის რეაქციას საკვებზე, ადგენს, მოიხმარა თუ არა სრული ულუფა და საჭიროების შემთხვევაში აწვდის ინფორმაციას ადმინისტრაციას ან მედპერსონალს | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივად კონტროლდება ბავშვების კვების პროცესი საგანმანათლებლო პერსონალის/ჯგუფის დამხმარე პერსონალის მიერ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

თარიღი: 20/11//2025

კვების დარგის ექსპერტი:



| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა.(ა).ი.პ.-" მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი"<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება: ბანძის საბავშვო ბაღი; | | | | | ბრძანების N: MES 6 25 0001006142 20/08/2025 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბანძა | | | | | ვიზიტის თარიღი: 25.09.2025წ |
| კრიტერიუმი 4.5.1. დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები | | | | | |
| | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | 1)დაწესებულების ეზოს, ტერიტორიის და შენობის ვიზუალური დათვალიერება;<br>2)ვიზიტის დროს მოპოვებული ფოტომასალა;<br>3)ინტერვიუს შედეგები;<br>4)დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: ა.(ა).ი.პ.- „მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის“ დირექტორის, 2025 წლის N119 ბრძანებით დამტკიცებული, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი; სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ)- დამტკიცებული დოკუმენტები; 5)ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული დღის განრიგი; 6)სასმელი წყლის ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური და ქიმიური კვლევის ოქმი; 7) 23,09,2025 წლის ხელშეკრულება N65- საბავშვო ბაღების სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევების შედეგების შეფასების, რეკომენდაციების შემუშავების და ჭებისა და ჭაბურღილების ჰიგიენური შეფასების და რეკომენდაციების შესახებ;<br>8)12,06,2025 წლის ხელშეკრულება N41 - დეზინსექცია- დერატიზაციის მომსახურების შესყიდვის შესახებ; |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი** | | | | | | | | |
| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (წესებისა და მონიტორინგის მექანიზმების ჩათვლით) და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემას (საჭიროების შემთხვევაში)** | | | | | დაწესებულებას სრულყოფილად აქვს შემუშავებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, დამტკიცებული აქვს დაწესებულებისათვის რელევანტური ყველა სოპი, მაგრამ ჯერ არ აქვს წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების ამსახველი არცერთი ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო.<br>დაწესებულებაში დაცულია ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალანირებისადმი, დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი, განათებისადმი, სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისადმი/პირობების დაცვისადმი (შენობის შიდა სათავსებში და გარე სივრცეში), დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი.<br>დაწესებულებაში წყალმომარაგება უზრუნველყოფილია ჭაბურღილზე მიერთებით. დაწესებულების შიდა კანალიზაციის სისტემა მიერთებულია ბიოლოგიურ გამწმენდ მოწყობილობასთან, რომელიც ახდენს საყოფაცხოვრებო წყლების ბიოლოგიურად გადამუშავებას.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასმელი წყლის ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური და ქიმიური კვლევის ოქმი. წყლის სინჯის აღება ხდება წელიწადში ორჯერ. ამასთანავე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საბავშვო ბაღების სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევების შედეგების შეფასების, რეკომენდაციების შემუშავების და ჭებისა და ჭაბურღილების ჰიგიენური შეფასების და რეკომენდაციების შესახებ.<br>დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა, რომელიც აღწერილი აქვს სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში.<br>ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა დაწესებულებას გაწერილი აქვს მექანიზმში და განსაზღვრული ყავს მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.<br>დეზინფექციისთვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები. დაწესებულების სამზარეულოში, მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები.<br>დეტალური ინფორმაცია იხილეთ ამავე ცხრილში. | | სააღმზრდელო პროცესის დაწყებისთანავე, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით განსაზღვრული საქმიანობის ამსახველი ჟურნალების სრულყოფილად წარმოება, მათ შორის სასმელი წყლის სამარაგო ავზის რეცხვა-დეზინფექციის ჟურნალის. დაწესებულებამ განახორციელოს ბალიშის, ლეიბის/ქვეშაგების და ხალიჩების ქიმიური წმენდის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება. ხალიჩების საწმენდად დაწესებულებამ განახორციელოს მტვერსასრუტის შეძენა.<br>სათამაშოების რეცხვა- დეზინფექციის სოპში (სოპ-09), გაწერილია ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისათვის განკუთვნილი სათამაშოების ყოველდღიურად რეცხვა. ადრეული ასაკის აღსაზრდელები (2 წლამდე) დაწესებულებას არ ყავს და შესაბამისად სოპში აღნიშნული ჩანაწერის გაკეთება აღარაა საჭირო. | |
| | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა (შენობის შიდა სათავსები და გარე სივრცე, ინვენტარი, მატერიალური რესურსი და სხვ.) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასუფთავება და ნარჩენების მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის ვინილის, გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას; სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 2.1 მ სიმაღლემდე; სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც; დაწესებულების სამზარეულოში, მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები, ხოლო ჯგუფურ ოთახებში, საძინებლებში და დარბაზში ბადეები არაა. | ჯგუფურ ოთახებში, საძინებლებში და დარბაზში დამონტაჟდეს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, ააიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი, მარტვილის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბანძის საბავშვო ბაღში, 12 თვეში უზრუნველყოფს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეების მოწყობას ჯგუფებსა და ოთახებში. |
| | სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | **ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით; დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება; ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას; ჯგუფური ოთახების, საძინებელი ოთახების და და დარბაზის ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით -ფარდებით. ხოლო სამზარეულო მზისგან დამცავ საშუალებებს არ საჭიროებს, რადგან ფანჯრების ნაცვლად ორი მცირე სარკმელია, რომელიც იატაკიდან 2,5მ სიმაღლეზე მდებარეობს; ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები და მცენარის ქოთნები. | | | |
| | დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | **ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალანირებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით (ცივი და ცხელი წყალი) | ■ | □ | □ | □ | დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით (ცივი და ცხელი წყლით); დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი); სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდება ხდება წყლის კონტეინერის (დოქების) საშუალებით; წყლის კონტეინერის გამოყენებისას დაცულია სათანადო პირობები: 1. წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას ირეცხება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-01), მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; 2) წყლის კონტეინერს აქვს თავსახური; 3) წყლის კონტეინერი არ დგას იატაკზე; დაწესებულებაში წყალმომარაგება უზრუნველყოფილია ბუნებრივ წყაროზე -ჭაბურღილზე მიერთებით. ეზოში მოწყობილი ჭაბურღილის განთავსების ტერიტორია კეთილმოწყობილია. დაგებულია ბეტონის ზეწარი, რაც გამორიცხავს ჭაბურღილში ზედაპირული წყლების მოხვედრას. ჭაბურღილში ჩადგმულია ჩასაძირი ელექტროტუმბოები. ჭაბურღილი შემოფარგლულია ღობით, რომლის ფარგლებში განთავსებულია ჭაბურღილის მართვის ფარი, სადაც დამონტაჟებულია ელექტრომოწყობილობა. გარეშე პირების შესვლა შეზღუდულია უსაფრთხოებისა და სანიტარული მოთხოვნების შესაბამისად. ჭაბურღილიდან წყალი ელექტროტუმბოს საშუალებით გროვდება სამარაგო ავზში და სასმელი წყალი, ავზიდან მიეწოდება შენობის შიდა წყალმომარაგების სისტემას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს წყლის სამარაგო ავზის რეცხვა/დეზინფექციის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ-03); წყლის სამარაგო ავზის რეცხვა/დეზინფექცია გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; ვინაიდან დაწესებულებაში წყალმომარაგება უზრუნველყოფილია ბუნებრივ წყაროზე -ჭაბურღილზე მიერთებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასმელი წყლის ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური და ქიმიური კვლევის ოქმი. წყლის სინჯის აღება ხდება წელიწადში ორჯერ. რაც გაწერილია სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში. ამასთანავე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საბავშვო ბაღების სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევების შედეგების შეფასების, რეკომენდაციების შემუშავების და ჭებისა და ჭაბურღილების ჰიგიენური შეფასების და რეკომენდაციების შესახებ; დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება); დასახლებულ პუნქტში წყალმომარაგებისა და წყალარინების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის გამო, დაწესებულების კანალიზაციის სისტემა მიერთებულია კანალიზაციის გამწმენდ ნაგებობასთან. კერძოდ ბიოლოგიურ გამწმენდ მოწყობილობასთან. გამწმენდი დანადგარი გამოიყენება საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიურად გადასამუშავებლად. ხოლო გაწმენდილი წყლის გადინება ხდება დაწესებულების ეზოს გარეთ; დაწესებულებას გარე სანიტარიული კვანძი არ აქვს. დაწესებულების შიდა კანალიზაციის სისტემა მიერთებულია კანალიზაციის გამწმენდ ნაგებობასთან. კერძოდ ბიოლოგიურ გამწმენდ მოწყობილობასთან. ბიოლოგიური გამწმენდი მოწყობილობა არ მდებარეობს დაწესებულების შენობის მომიჯნავედ. მისი დაშორება ჭაბურღილის კვანძიდან 14 მეტრია. ხოლო ჭაბურღილის სიღრმე 75 მეტრი. | | | |
| | დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი) | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდება ხდება: | | | | | | | | |
| | ა) წყლის კონტეინერის საშუალებით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ბ) წყლის დისპანსერის საშუალებით | □ | □ | □ | □ | | | | |
| | გ) წყლის შადრევნის საშუალებით | □ | □ | □ | □ | | | | |
| | წყლის კონტეინერის საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1. წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას ირეცხება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით; 2) წყლის კონტეინერს აქვს თავსახური; 3) წყლის კონტეინერი არ დგას იატაკზე | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | წყლის დისპენსერების საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1) ხელმისაწვდომია ერთჯერადი გამოყენების ჭიქები; 2) წყლის დისპენსერის ავზი პერიოდულ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით; | □ | □ | □ | □ | | | | |
| | სასმელი წყლის წყაროდ არტეზიული ჭის არსებობის შემთხვევაში, ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) დაცულია გარედან რაიმე სახის დაბინძურებისაგან ბ) განთავსებულია არანაკლებს 30მ დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან გ) არ ხდება პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100მ რადიუსში დ) ჭა მოწმდება სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით ე) ჭას აქვს ღობე ცხოველებისგან დასაცავად ვ) ჭის გარშემო მოწყობილია სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ზ) წყლის ამოსაღები სათლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სუფთად ინახება თ) ჭა ჩაკეტილი და თავდახურულია | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება) | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის დროს, ცხელი წყლით უზრუნველყოფილია კვების ბლოკი (სამზარეულო კერძების მოსამზადებელი და სამრეცხაო ზონით), სანკვანძ(ებ)ი და სამრეცხაო (არსებობის შემთხვევაში) | □ | □ | □ | □ | | | | |
| | დასახლებულ პუნქტში წყალმომარაგებისა და წყალარინების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის შემთხვევაში დაწესებულების კანალიზაციის სისტემა მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან/სეპტიკურ ავზთან შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: ა) გარე სანიტარიულ კვანძს გააჩნია საასენიზაციო ორმო/სეპტიკური ავზი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით ბ) სან.კვანძის სავენტილაციო მილს აქვს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადე გ) სან.კვანძს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება დ) სან.კვანძს აქვს ფუნქციური ხელსაბანი ე) აქვს სან.კვნძთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი ვ) დაწესებულებას აქვს წინასწარგანსაზღვრული წესი მათი დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | გარე სანიტარიული კვანძი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ მდებარეობს დაწესებულების შენობის მომიჯნავედ. სანიტარული კვანძის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან შეადგენდეს არანაკლებ 30 მ-ს. | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივი წყლის მიწოდების არ არსებობის შემთხვევაში, დამონტაჟებულია სამარაგე ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით. სამარაგე ავზში შეგროვებული ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი გამოიყენება მხოლოდ ტუალეტების ჩასარეცხად, ეზოს/გარე სივრცის დასუფთავებისა და მორწყვისთვის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემებში და სამშენებლო და სარემონტო სამუშაობის წარმოებისას. ტექნიკური წყალი არ გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, პირადი ჰიგიენისთვის, დასუფთავებისა და რეცხვისთვის. ტექნიკური წყალი ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელია, რაც ექვემდებარება კონტროლს დაწესებულების მხრიდან | □ | □ | □ | □ | | | | |
| 5 | **მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელის განიავება (ორპირი/ერთმხრივი/გვერდითი/გამჭოლი) უზრუნველყოფილია რეგულარულად, "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წესის მიხედვით. დაწესებულების პერსონალი იცნობს და იცავს განიავების წესებს | ■ | □ | □ | □ | ჯგუფური ოთახის და საძინებელის განიავება (ორპირი/ერთმხრივი/გვერდითი/გამჭოლი) უზრუნველყოფილია რეგულარულად, "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წესის მიხედვით. დაწესებულების პერსონალი იცნობს და იცავს განიავების წესებს. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს განიავების სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ-04); ტემპერატურის კონტროლისთვის თერმომეტრები დამონტაჟებულია კედელზე ჯგუფურ ოთახებში, იატაკიდან 1,0 მ სიმაღლეზე; დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვების ყოველდღიურ ჰაერზე ყოფნა/გასეირნებას დღეში ორჯერ, დადგენილი ხანგრძლივობით, რაც დასტურდება დღის განრიგით. | | | |
| | ტემპერატურის კონტროლისთვის თერმომეტრები დამონტაჟებულია კედელზე იატაკიდან 0,8-1,2 მ-ის სიმაღლეზე | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვების ყოველდღიური ჰაერზე ყოფნა/გასეირნებას დადგენილი ხანგრძლივობით, რაც დასტურდება დღის განრიგით | ■ | □ | □ | □ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **6** | **მოთხოვნები სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისადმი/პირობების დაცვისადმი** | | | | | | | | |
| | **შენობის შიდა სათავსებში:** | | | | | | | | |
| | მთელი შენობის გენერალური დასუფთავება ხდება ყოველთვიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | მთელი შენობის გენერალური დასუფთავება ხდება ყოველთვიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-05). გენერალური დასუფთავების პროცესი გაწერილია მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; სადეზინფექციო სამუშაოები ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული საჭიროებიდან და ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე. ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა დაწესებულებას გაწერილი აქვს მექანიზმში და განსაზღვრული ყავს მიღებული რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. დეზინფექციისთვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები; შენობის სათავსები ყოველდღიურად სუფთავდება სველი წესით, ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში (სადაც ეს შესაძლებელია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით, (სოპ-06); მიმდინარე დასუფთავების პროცესი გაწერილია მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ქვეშ სივრცეები სველი წესით სუფთავდება დღეში ორჯერ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-06); მიმდინარე დასუფთავების პროცესი გაწერილია მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; ავეჯის ზედაპირიდან, გამათბობელი მოწყობილობიდან, განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირებიდან (კარის სახელური, კარადის სახელურების და სხვ), ფანჯრის რაფებიდან მტვერი სველი წესით იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-06); მიმდინარე დასუფთავების პროცესი გაწერილია მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; ბავშვების ტანსაცმლის კარადები ყოველდღიურად იწმინდება შესაბამისი ზედაპირების მოვლისათვის განკუთვნილი საშუალებით. კვირაში ერთხელ ირეცხება/მუშავდება სველი წესით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-06); მიმდინარე დასუფთავების პროცესი გაწერილია მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; გამწოვი ვენტილაციის ჟალუზები სისტემატიურად იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-06); მიმდინარე დასუფთავების პროცესი გაწერილია მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; ფანჯრის მინები შიგნიდან და გარედან იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-06); მიმდინარე დასუფთავების პროცესი გაწერილია მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; აკრძალულია ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების წარმოება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას (კედლების, ჭერის, ფანჯრის ჩარჩოების შეთეთრება/შეღებვა და სხვ). | | | |
| | სადეზინფექციო სამუშაოები ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული საჭიროებიდან და ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესაბამისი სამსახურის რეკომენდაციების შესაბამისად, რაც დასტურდება წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დეზინფექციისთვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რეგისტრირებული, ნაკლებტოქსიური პრეპარატები/კომპოზიციები | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ყველა სათავსი სუფთავდება სველი წესით, ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში (სადაც ეს შესაძლებელია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ქვეშ სვრცეები სველი წესით სუფთავდება დღეში ორჯერ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ავეჯის ზედაპირიდან (არაუმეტეს 2 მეტრს სიმაღლეზე), გამათბობელი მოწყობილობიდან, განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირებიდან (კარის სახელური, კარადის სახელურების და სხვ), ფანჯრის რაფებიდან მტვერი სველი წესით იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ბავშვების ტანსაცმლის კარადები ყოველდღიურად იწმინდება შესაბამისი ზედაპირების მოვლისათვის განკუთვნილი საშუალებით. კვირაში ერთხელ ირეცხება/მუშავდება სველი წესით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | გამწოვი ვეტნილაციის ჟალუზები ღიაა და სისტემატიურად იწმინდება დაბინძურების შესაბამისად, ხოლო დახურულია, მხოლოდ შენობის შიგნით და გარეთ ტემპერატურა მკვეთრი სხვაობის დროს, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ფანჯრის მინები შიგნიდან და გარედან იწმინდება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით და დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ორჯერ,რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | აკრძალულია ყოველგვარი სარემონტო სამუშაოების წარმოება სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისას (კედლების, ჭერის, ფანჯრის ჩარჩოების შეთეთრება/შეღებვა და სხვ). | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | **ინვენტარი:** | | | | | | | | |
| | ახლად შეძენილი სათამაშოები (რბილის გარდა) ბავშვებისთვის მიწოდებამდე ირეცხება 15 წუთის განმავლობაში, 37˚ C-ის ტემპერატურის წყლითა და საპნით, შრება ჰაერზე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | ახლად შეძენილი სათამაშოები (რბილის გარდა) ბავშვებისთვის მიწოდებამდე ირეცხება 15 წუთის განმავლობაში, 37˚ C-ის ტემპერატურის წყლითა და საპნით, შრება ჰაერზე. რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-09); სათამაშოების რეცხვა- დეზინფექცია გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისათვის განკუთვნილი სათამაშოები ყოველდღიურად იწმინდება და ირეცხება წყლით, ჯაგრისით, საპნით ან 2%-იანი სასმელი სოდის ხსნარით, ხოლო სკოლამდელი ასაკის (2 წლის ზევით) ბავშვების სათამაშოები ირეცხება ყოველ მეორე დღეს (თოჯინების ტანსაცმელი - გაჭუჭყიანების შესაბამისად). რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-09); სათამაშოების რეცხვა- დეზინფექცია გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; სათამაშოებს დეზინფექცია უტარდება ორ კვირაში ერთხელ ქლორამინის 0,5%-იანი ხსნარით ან 0,5%-იანი ქლორის ხსნარით 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ ირეცხება და შრება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-09); სათამაშოების რეცხვა- დეზინფექცია გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; თეთრეულის გამოცვლა ხდება დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-10); თეთრეულის გამოცვლა გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო. დაწესებულებას შეძენილი აქვს თეთრეული აღსაზრდელებისთვის და გეგმავს სარეცხი მანქანის შეძენას, და თეთრეულის რეცხვის ადგილზე განხორციელებას. თეთრეული მარკირებულია ჯერ მხოლოდ ჯგუფების მიხედვით, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო და შესაბამისად ბავშვები არ იმყოფებოდნენ. სუფთა თეთრეული ინახება დაწესებულებაში; ბალიში, ლეიბი/ქვეშაგები ნიავდება გენერალური დასუფთავებისას თვეში ერთხელ, და ქიმიური წმენდა 3 თვეში ერთხელ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-11); ბალიშის, ლეიბის/ქვეშაგების განიავება, დასუფთავება გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო. ბალიშის, ლეიბის/ქვეშაგების ქიმიური წმენდის ხელშეკრულების გასაფორმებლად დაწესებულება აწარმოებს კონტრაქტორი კომპანიის მოძიებას; დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ხალიჩების ყოველდღიური წმენდა მტვერსასრუტით. თვეში ერთხელ სველი ჯაგრისით და 3 თვეში ერთხელ ქიმიური წმენდა, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-11); ხალიჩების დასუფთავება გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო. ხალიჩების ქიმიური წმენდის ხელშეკრულების გასაფორმებლად დაწესებულება აწარმოებს კონტრაქტორი კომპანიის მოძიებას. სანიტარულ კვანძში იატაკი, ხელსაბანი ნიჟარები და უნიტაზები ტექნიკურად გამართულია და ირეცხება არანაკლებ დღეში ორჯერ, თბილი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, ლაქების მოსაცილებლად არანაკლებ თვეში ორჯერ ირეცხება შესაბამისი პრეპარატით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-13); სანიტარულ კვანძის ტექნიკური გამართულობა და რეცხვა- დეზინფექცია გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომია საპონი ბავშვებისთვის და პერსონალისთვის (WASH ინდიკატორი); დაწესებულებაში არსებული ყველა ხელსაბანი უზრუნველყოფილია ქაღალდის პირსახოცის დისპენსერით და უკონტაქტო ხელმისაწვდომობის თავსახურიანი ნაგვის ურნით; დაწესებულებაში არსებული ყველა სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილია ტუალეტის ქაღალდით; დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა, რომელიც აღწერილი აქვს სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში. სანიტარული კვანძის დასალაგებელი ინვენტარი მარკირებულია და ინახება სპეციალურ სათავსში სანიტარული კვანძის სიახლოვეს. ინვენტარი ხმარების შემდეგ ირეცხება ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-14); დასალაგებელი ინვენტარის რეცხვა გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახება პირვანდელი შეფუთვით (რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით) ბავშვებისათვის და გარეშე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ჩაკეტილ სათავსში; მაგიდები და სკამები ჯგუფურ ოთახებში იწმინდება ცხელი წყლითა და საპნით, ორ კვირაში ერთხელ. ხოლო ეპიდჩვენებისას მუშავდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-08); ჯგუფურ ოთახებში მაგიდებისა და სკამების რეცხვა- დეზინფექცია გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო. | | დაწესებულებამ განახორციელოს ბალიშის, ლეიბის/ქვეშაგების ქიმიური წმენდის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება;<br>დაწესებულებამ განახორციელოს ხალიჩების ქიმიური წმენდის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება.<br>ხალიჩების საწმენდად დაწესებულებამ განახორციელოს მტვერსასრუტის შეძენა.<br>სათამაშოების რეცხვა- დეზინფექციის სოპში (სოპ-09), გაწერილია ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისათვის განკუთვნილი სათამაშოების ყოველდღიურად რეცხვა. ადრეული ასაკის აღსაზრდელები (2 წლამდე) დაწესებულებას არ ყავს და შესაბამისად სოპში აღნიშნული ჩანაწერის გაკეთება აღარაა საჭირო. | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისათვის განკუთვნილი სათამაშოები ყოველდღიურად იწმინდება და ირეცხება წყლით, ჯაგრისით, საპნით ან 2%-იანი სასმელი სოდის ხსნარით, ხოლო სკოლამდელი ასაკის (2 წლის ზევით) ბავშვების სათამაშოები უნდა ირეცხებოდეს ყოველ მეორე დღეს (თოჯინების ტანსაცმელი - გაჭუჭყიანების შესაბამისად), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | სათამაშოებს დეზინფექცია უტარდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ქლორამინის 0,5%-იანი ხსნარით ან 0,5%-იანი ქლორის ხსნარით 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ ირეცხება და შრება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | თეთრეულის გამოცვლა ხდება დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | თეთრეული მარკირებულია ჯგუფებისა და ბავშვების მიხედვით. სუფთა და ჭუჭყიანი თეთრეული ინახება ერთმანეთსიგან განცალკევებით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ლოგინი (ბალიში, ლეიბი/ქვეშაგები) ნიავდება გენერალური დასუფთავებისას და უტარდება ქიმიური წმენდა დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ხალიჩები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველდღიურად იწმინდება მტვერსასრუტით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით იწმინდება სველი ჯაგრისით და უტარდება ქიმიური წმენდა, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | საფენების გამოსაცვლელი მაგიდები, საბავშვო ქვეშაგები, მუშამბები, მანეჟის საფარველი ექვემდებარება რეცხვას საპნიანი წყლით დღეში ორჯერ. ფეკალიებით დაბინძურების შემთხვევაში, გასუფთავებული ადგილები დამატებით იწმინდება 1%-იანი სადეზინფექციო ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | □ | □ | □ | □ | | | | |
| | სანიტარულ კვანძში იატაკი, ხელსაბანი ნიჟარები და უნიტაზები/პისუარები ტექნიკურად გამართულია და ირეცხება დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ დღეში ორჯერ, თბილი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, ლაქების მოსაცილებლად არანაკლებ თვეში ორჯერ ირეცხება შესაბამისი პრეპარატით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომია საპონი ბავშვებისთვის და პერსონალისთვის (WASH ინდიკატორი) | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებული ყველა ხელსაბანი უზრუნველყოფილია ხელის გასამშრალებლით (ელექტროსაშრობი ან ქაღალდის პირსახოცის დისპენსერი) და უკონტაქტო ხელმისაწვდომობის თავსახურიანი ნაგვის ურნით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულებაში არსებულ ყველა სანიტარული კვანძი უზრუნველყოფილია ტუალეტის ქაღალდით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარის სტანდარტული ნაკრების შემადგენლობა, გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა და მათი საშუალო წლიური რაოდენობა | ■ | □ | □ | □ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სანიტარული კვანძის დასალაგებელი ინვენტარი მარკირებულია და ინახება სპეციალურ კარადაში სანიტარული კვანძის სიახლოვეს. ინვენტარი ხმარების შემდეგ ირეცხება ცხელი წყლითა და სარეცხი საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | საყოფაცხოვრებო ქიმიური და არაქიმიური, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები ინახება პირვანდელი შეფუთვით (რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით) ბავშვებისათვის და გარეშე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ყოველი მოხმარების შემდეგ ირეცხება გამდინარე წყლით, ყოველ დღე ირეცხება თბილი საპნიანი წყლით, ხოლო ყოველი კვირის ბოლოს, 30 წუთის მანძილზე მუშავდება 1%-იანი ქლორამინის ხსნარით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | □ | □ | □ | □ | | | | |
| | ღამის ქოთნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)ეპიდსაშიში სიტუაციის დროს ყოველი მოხმარების შემდეგ, 30 წთ-ის განმავლობაში მუშავდება 1%-იანი ქლორის ხსნარით, ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული წესითა და სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | □ | □ | □ | □ | | | | |
| | მაგიდები და სკამები ჯგუფურ ოთახებში იწმინდება ცხელი წყლითა და საპნით, ხოლო ეპიდჩვენებისას მუშავდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის მიერ რეკომენდებული სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | **შენობის გარე სივრცე** | | | | | | | | |
| | დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში არსებული აღჭურვილობა (მაგიდები, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონები და სხვა) იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ■ | □ | □ | □ | დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში არსებული აღჭურვილობა (მაგიდები, სკამები, სპორტული ინვენტარი, ატრაქციონები და სხვა) იწმინდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-07); ეზოს/გარე სივრცის, აღჭურვილობის დასუფთავება გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; დაწესებულების ეზოს/გარე სივრცის გენერალური დასუფთავება ხდება 3 თვეში ერთხელ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-07); ეზოს/გარე სივრცის გენერალური დასუფთავება გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; წელიწადის თბილ და ცხელ სეზონებზე ეზოს მორწყვა ხდება ყოველდღიურად/ორ დღეში ერთხელ, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-07); ეზოს მორწყვა გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; ეზოში არსებული 4- ვე საქვიშე აღჭურვილია დახურვის მექანიზმით. ქვიშის შეცვლა ყუთებში ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, რაც დასტურდება სტანდარტული სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-12); ქვიშის შეცვლა გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; დაწესებულების შიდა კანალიზაციის სისტემა მიერთებულია კანალიზაციის გამწმენდ ნაგებობასთან. კერძოდ ბიოლოგიურ გამწმენდ მოწყობილობასთან. გამწმენდი დანადგარი გამოიყენება საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიურად გადასამუშავებლად. ხოლო გაწმენდილი წყლის გადინება ხდება დაწესებულების ეზოს გარეთ. შესაბამისად დაწესებულება არ ახორციელებს საასენიზაციო ორმოს/სეპტიკური ავზის დაცლა/დეზინფექციას. | | | |
| | დაწესებულების ეზოს/გარე სივრცის გენერალური დასუფთავება ხდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | წელიწადის თბილ და ცხელ სეზონებზე ეზოს მორწყვა ხდება ყოველდღიურად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ეზოში/გარე სივრცეში არსებულ საქვიშე აღჭურვილია დახურვის მექანიზმით. ქვიშის შეცვლა ყუთებში ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, რაც დასტურდება სტანდარტული სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | საასენიზაციო ორმოს/სეპტიკური ავზის დაცლა ხორციელდება დაწესებულების მიერ განსაზღვრული პერიოდულობით. დაცლის შემდეგ მუშავდება სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | □ | □ | □ | □ | | | | |
| **7** | **მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებებში ყოველდღიურად ხორციელდება მყარი ნარჩენების შეგროვება ჯგუფურ ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და ხდება მათი უსაფრთხო გატანა შენობიდან, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ■ | □ | □ | □ | დაწესებულებაში ყოველდღიურად ხორციელდება მყარი ნარჩენების შეგროვება ჯგუფურ ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ და სხვა სათავსებში და ხდება მათი უსაფრთხო გატანა შენობიდან, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-16); დასუფთავების, ნარჩენების გატანის და დეზინფექციის პროცესი, გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; დაწესებულების ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება, ხოლო ნარჩენები გროვდება და იყრება ეზოში და ეზოს მიმდებარედ არსებულ ნარჩენების შემკრებ (ნაგავშემკრებ) კონტეინერში, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-16); დასუფთავების, ნარჩენების გატანის და დეზინფექციის პროცესი, გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; დაწესებულების შიდა და გარე ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის ურნები და ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები, რომელთა დაცლა ხდება მათი 3/4 -ით გავსებისთანავე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-16); დასუფთავების, ნარჩენების გატანის და დეზინფექციის პროცესი, გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო. დაწესებულების ეზოს გარეთ ტერიტორიაზე, ღობიდან 70 მეტრში განთავსებულია ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერი და მისი დაცლა ხორციელდება დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ. ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები არის თავსახურიანი, არ არის გადავსებული და განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილას თავდახურულ მდგომარეობაში, დაწესებულების ეზოს შიდა და გარეთ ტერიტორიაზე; დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ნაგვის ურნები, ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერი და მათი განთავსების ადგილები დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით 60 წთ-ის განმავლობაში ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-16); დასუფთავების, ნარჩენების გატანის და დეზინფექციის პროცესი, გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო; დაწესებულება უზრუნველყოფს ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერის განთავსების სივრცის და სასაწყობე სივრცეების პერიოდულ დამუშავებას მწერებისა და მღრნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-17); დასუფთავების, ნარჩენების გატანის და დეზინფექციის პროცესი, გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში, მაგრამ ჯერ არაა წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების ჟურნალი, რადგან დაწესებულებაში ვიზიტისას სააღმზრდელო პროცესი დაწყებული არ იყო. ამასთანავე დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დეზინსექცია- დერატიზაციის მომსახურების შესყიდვაზე. | | | |
| | დაწესებულების ტერიტორია ყოველდღიურად სუფთავდება, ხოლო ნარჩენები გროვდება და იყრება ეზოში/ეზოს მიმდებარედ არსებულ ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრებ) კონტეინერებში, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულების შიდა და გარე ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის ურნები. ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების და ნაგვის ურნების დაცლა ხდება მათი 3/4 -ით გავსებისთანავე, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები არის თავსახურიანი, არ არის გადავსებული და განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ ადგილას თავდახურულ მდგომარეობაში | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ნაგვის ურნები, ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერები და მათი განთავსების ადგილები დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია (10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით 60 წთ-ის განმავლობაში ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფს ნარჩენების შემკრები (ნაგავშემკრები) კონტეინერების განთავსების სივრცის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდულ დამუშავებას მწერებისა და მღრნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია), რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით | ■ | □ | □ | □ | | | | |

კითხვარის შევსების პროცესში, აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

თარიღი: 20.11.2025წ

სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი მარინე ზარანდია